645
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 8 აგვისტო 1960 წ.



სისხამ დილით ფოტოეტიუდი თ. მოდებაძის

## ნომერშია:

ქვეყნობნელები
კარგი ქართულით
თამარ ჩხაიძე—
დედამთილისეული
ხელებს უქებენ ექიმს
შეხვედრები კოპენჰაგენში
სოფიო-დედა
„ნაკადულის“ დედა
მაყვალა მრევლიშვილი—
ნაკადული
ტაშისკარში
მიზანი არ ელევა
ორი ფიქვი
ჰუმორი
ელენე მასწავლებლის ბაღი
რა უნდა იცოდეს დიასახლისმა
მურაბები
კოსმეტიკა
მოდები
ბაბილინა ხოსიტაშვილი
სემინარი
მშობლებისათვის



ბორჯომი. დასასვენებელი სახლი «ფირუზა»

ფოტო ე. სუსუნიკაშვილის

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი
№ 8 აგვისტო 1960 წ.

საბჭოთა ქალი

გამოცემის მეოთხე წელი

# ქვენობანი



კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქსენია მახარაძე მეჩაიე ქალებს უკითხავს გაზეთის ახალ ნომერს

## რეპორტაჟი

მანქანა ნელი რწევით გადადის ხიდზე და ერთბაშად უხვევს მარჯვნივ. გზა მდინარე გუბაზოულის ხეობას მიჰყვება. ირგვლივ ამაყად აზიდულან გურიის მუქ-ლურჯი მთები. მანქანამ ირიბად გადასერა პატარა ქედი და აივაკა. ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენობნის ტერიტორიაზე ვართ.

მანქანა ჩამწკრივებულ ნაძვებს შორის დაფენილ გზაზე მისრიალებს. გზის ორივე მხარეს გადაჭიმულა ჩაის პლანტაციები, მოსჩანს მწვანეში ჩაფლული ოდა-სახლები, რომლებიც ზღვასავით მოზიზინე პლანტაციებს შორის პატარ-პატარა კუნძულებს გვანან.

— ესეც თქვენი ქვენობანი,—ამბობს მძღოლი და ახალთახალ «კოლხოზნიკს» სოფლის ცენტრში ამუხრუჭებს.

* * *

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქსენია მახარაძე კეთილი ღიმილით გამოგვეგება, იგი შემთხვევით აღმოჩნდა კოლმეურნეობის კანტორაში, სხვა დროს არც ისე ადვილია მისი კაბინეტში ნახვა. მუდამ პლანტაციებში დადის.

დილის რვა საათიდან ღამის თორმეტ საათამდე ქსენია კოლმეურნეობაში ტრიალებს. საქმეს რა გამოულევს. ერთ რამეში კი ესაყვედურებიან თანასოფლელები. საბჭოს თავმჯდომარე გედეონ კუტუზიძეც მუდამ ამას ეჩხუბება: «ფეხით ნუ დადიხარ, რაიონმა მსუბუქი მანქანა გამოგიგზავნა და მოიხმარეო.»

— პლანტაციაში მანქანით ხომ არ ვივლი?—თავს იმართლებს ქსენია.

— სახლში მაინც წადი მანქანით!

— როგორ?—უკვირს ქსენიას,—ჩემი გულისთვის მძღოლი ღამის თორმეტ-პირველ საათამდე ვალოდინო კანტორის წინ?

ქსენია ყველაზე გვიან სტოვებს კოლმეურნეობის კანტორას და ხელის ფანრით მიიკვლევს გზას შინისაკენ.

1943 წელს ქსენია ქვენობნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. მაშინ სამამულო ომი მძვინვარებდა. ძირითადად ქალები უძღვებოდნენ მეურნეობას. მამაკაცები ომში გაიწვიეს. ქსენიამაც გააცილა ფრონტზე ორი ძმა, დაბრუნებით კი აღარცერთი არ დაბრუნებულა...

1953 წლიდან ქსენია კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. მას შემდეგ სოფელში მეურნეობის ყველა დარგი სწრაფი ტემპით წავიდა წინ. მარტო მესაქონლეობიდანაც კარგად სჩანს ეს: თუ 1953 წელს ერთ საფურაჟე ძროხაზე საშუალო წველადობა 253 ლიტრს უდრიდა, 1959 წელს ამ ციფრმა 1080 ლიტრს მიაღწია. შარშან შრომადღეზე მარტო ფულად 22 მანეთი და 50 კაპიკი განაწილეს.

კოლმეურნეობის მთავარი სიმდიდრის წყარო მაინც ჩაის პლანტაციაა, რომელსაც 117 ჰექტარი ფართობი უჭირავს. შარშან საშუალოდ ჰექტარზე 2700 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს. წელს მეტს გვპირდებიან.

* * *

სოფლის ცენტრში მესერით შემოკავებულ დიდ ეზოში შვიდწლიანი სკოლის ლამაზი შენობაა. დირექტორი ვარდო ცინცაძე სკოლაში არ დაგვიხვდა, ჩაის პლანტაციაშიაო,—გვითხრეს. დავაპირეთ ადგილზე ვწვეოდით ვარდოს, მაგრამ ამასობაში თვითონ მოვიდა.

უკვე თორმეტი წელია, რაც ვარდო სკოლის დირექტორად მუშაობს. ეს სკოლა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში.

დავათვალიერეთ სასკოლო ოთახები, ვნახეთ ხელგარჯილობის კუთხე, სადაც ბავშვების მიერ ნაკეთები სხვადასხვა ნივთებია გამოფენილი. კარგადაა მოვლილი სკოლის ნაკვეთი. მოსწავლეები მარტო აქ მუშაობით როდი კმაყოფილდებიან, შარშან მათ კოლმეურნეობას 18 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოუკრიფეს. წელს კი 19 ტონა ფოთლის მოკრეფა აქვთ გადაწყვეტილი, თვითონ ვარდოს 2 ათასი მეტრი ჩაის ფართობი აქვს გაპიროვნებული. მან იკისრა ნახევარი ტონა ფოთლის მოკრეფა.

ვარდო კმაყოფილებით გვესაუბრა სკოლის მომავალზე. კოლმეურნეობამ უკვე გადაურიცხა 100 ათასი მანეთი სკოლის ახალი შენობის ასაგებად. მომავალში ქვენობნელი ბავშვები ახალ და ნათელ ოთახებში მიუსხდებიან მერხებს.

* * *

გზისპირას პატარა და კოხტა შენობა წამოუჭიმავთ. ეს სოფლის საექიმო პუნქტია.

საწერ მაგიდას შავთვალწარბა გოგონა უზის, ჩვენ ის ექიმი გვგონია, გულღიად ვესალმებით.

— ექიმი კაბინეტშია,—ღიმილით გვპასუხობს ექთანი კლარა კოტრიკაძე და ოფიციალური ტონით უმატებს:—ჯერ არ სცალია, ავადმყოფი ჰყავს.

მალე ჩვენი ჯერი დგება. კაბინეტში შევდივართ და ხელს ვართმევთ ხანშიშესულ თეთრხალათიან ქალს, ექიმის ხელს სულ სხვანაირი სითბო აქვს.

მეათე წელია ქვენობანში მუშაობს ექიმი მარო ნინიძე და სულ იმას «უჩივის», რომ ავადმყოფები ძალიან ცოტა ჰყავს. მოსახლეობაში რაიმე ინფექციურ ან სხვა რთულ დაავადებებს ადგილი არა აქვს, მოდი, იჯექი მთელი დღე საექიმო პუნქტში და უცადე, ვინ გაიჭრის თითს, ან ვის ასტკივა თავი ან მუცელი. ასეთი შემთხვევებიც ძალიან ცოტაა, რადგან ხალხი მინდორში შრომობს და ყოველ ბრიგადაში პირველადი დახმარების პუნქტებია მოწყობილი. ამიტომაც მარო ნინიძე თავისუფალ დროს კოლმეურნეობას ახმარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გმირი დედის სანახავად მივეშურებით. ღრუბლიანი დღეა.—გაწვიმდება,—სინანულით ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე და გზადაგზა ჩაის მკრეფავებს ამხნევებს. ის იყო სანიკიძეების ეზოს მივადექით და კიდეც გაწვიმდა.

შინ არავინ დაგვხვდა. წვიმისაგან დამფრთხალ ინდაურის ჭუკებს კისრები წაუგრძელებიათ და სამზადი სახლისკენ გარბიან.

— მობრძანდით!—მასპინძლობს ქსენია.

ოთახში შევდივართ. ბუხართან ძველისძველი აკვანია. იქვე ახლოს, ტახტზე, თერთმეტი ყურთბალიში დიდ-პატარაობით აწყვია. დედის მზრუნველ ხელს ვარდისფერი ძაფით თერთმეტივე ბალიშზე შვილების სახელები ამოუქარგავს: ნოდარი, კუკური, ცისანა, ეთერი, ბონდო, მაყვალა, ამირანი, შურა, მერი, ნაზიბროლა და რეზო. მაგიდაზე გმირი დედის მოწმობა დევს...

ბილიკზე თუთის ფოთლით დატვირთული სანდომიანი სახის ქალი გამოჩნდა. აივანზე ფეხი შემოდგა და უცხო სტუმრები რომ დაგვინახა, შეკრთა.

ათი წელია, რაც სანიკიძეების ოჯახი მთიანი ზემო სურებიდან ქვენობანში ჩამოსახლდა. ქვენობანი მდიდარი სოფელია და სანიკიძეებს ცხოვრების პირობები გაუუმჯობესდათ. შარშან ოჯახმა 500 შრომადღე გამოიმუშავა და მარტო პრემიის სახით ერთი ტონა სიმინდი მიიღო.

ტატიანა სანიკიძე ნახევარ ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის. პატარა ნაზიბროლაც, რომელიც ახლა კარებთან ატუზულა, დედას ეხმარება.

— რამდენი მოკრიფე, ნაზი?—ეკითხება თავმჯდომარე.

— ორმოცდაათი კილოგრამი,—დარცხვენით პასუხობს ცეროდენა «კოლმეურნე».

* * *

მადლენა კუტუბიძეს დავეძებთ. მისი ნახვა არც ისე ადვილია. დღისით ბიბლიოთეკა დაკეტილია, ყველანი მინდვრად არიან. საღამოს იწყება აქ ცხოვრებაო,—ასე გვითხრეს.

მადლენას მოლოდინში რაიონულ გაზეთს ვათვალიერებთ.

«მადლენას უნდა მივბაძოთ»—ვკითხულობ გაზეთის მეორე გვერდზე მსხვილი ასოებით დაბეჭდილ სათაურს.

სამსახურეობრივი მოვალეობის გარდა ბიბლიოთეკარი მადლენა კუტუბიძე კოლმეურნეობას ეხმარება, ათასი მეტრი ჩაის ფართობი მიიზომა და ფოთოლს კრეფს.

დაღამდა. სოფელში ელნათურები აინთო. მოვიდა მადლენა. ხალხმა ბიბლიოთეკისაკენ დაიწყო დენა. მოდიან კოლმეურნეები, რომ წაიკითხონ ჟურნალ-გაზეთები, საინტერესო წიგნები, ითამაშონ ჭადრაკი, შაში...

1949 წლიდან მუშაობს მადლენა კუტუბიძე ბიბლიოთეკარად. იგი ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანიცაა. მას უნარიანად აქვს გამოყენებული მოსახლეობის წიგნით მომსახურების ყველა ფორმა, თვალსაჩინო აგიტაცია.

— აი, ბიბლიოთეკის ახალ შენობას რომ ავაგებთ, მერე უფრო უკეთ ვიმუშავებთ,—გვეუბნება მადლენა.

* * *

საშუალო ტანის, ჯანღონით სავსე ქალიშვილი ჩაის ბუჩქებს დასტრიალებს. თითები ელვის სისწრაფით მოძრაობენ, კვალი კვალს მისდევს, ივსება კალათი მწვანე ოქროს ხვავით.

ჩაი უხვადაა შემოსული. საჭიროა დროზე გაიკრიფოს, ვიდრე დუყები გაუხეშდებოდეს. ჰოდა, მედეა კუტუბიძეც არ აკლებს ხელს. მთელი დღე ჩაის პლანტაციაშია. ნახევარი ჰექტარი პლანტაცია აქვს გაპიროვნებული. გეგმით 2600 კილოგრამი უნდა მოკრიფოს, მაგრამ გეგმას როდი ჯერდება. მედეამ ვალდებულება აიღო ხუთი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბაროს სახელმწიფოს.

ვალდებულებას შესრულება უნდა!

ჯერჯერობით საყვედური არ ეთქმის მედეას. მარტო მაისში ერთი ტონა ჩაის ფოთოლი აიღო. განსაკუთრებით 25 მაისი იყო ბარაქიანი დღე—105 კილოგრამი. ამ სოფელში ეს სარეკორდო ციფრია.

მედეამ 1955 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. მალე მოიხვეჭა გამრჯე კოლმეურნის სახელი.

მედეას არც სხვები ჩამორჩებიან; თალიკო კუტუბიძე, გულნაზ ჭიხვარია და კლარა თელია დღეში საშუალოდ 80 კილოგრამ ფოთოლს კრეფენ.

ბარაქალა თქვენს მარჯვენას, შვიდწლედის გმირებო!

**ი. ყაჭეიშვილი, ზ. ჩხაიძე**

# ტაშისკარში

ქალი აჩქარებული ნაბიჯით მიჰყვება ტაშისკარის შარაგზას. აი, ნაკადულზე საცალფეხო ხიდი, შემდეგ ასკილის აყვავებული ბუჩქი და ფერდობზე—ნაძვნარი.

— კარგია აქ, ძალიან კარგი, ალბათ კარგად იქნება!—ფიქრობს ქალი.

ჰოდა, მიდის აჩქარებით, თითქმის მირბის. ველარ ითმენს გული, დედის საოცარი გული.

აი, გზამ მარჯვნივ შეუხვია და... ახალი, ლამაზი, ფართო აივნებიანი კორპუსები შემოეგებნენ მოსულს.

— ნეტავ აქ არის?—ეკითხება ქალი საკუთარ თავს და ასწლოვანი ნაძვები ირხევიან ოდნავ.

აი წარწერაც ალაყაფის კარზე; «კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ტაშისკარის უფროსი კლასის მოსწავლეთა ბანაკი»! «კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!».

კარებში ბიჭი დგას მკლავზე წითელი ნიშნით.

— ვის გნებავთ, დეიდა?

— გურამი ამ ბანაკშია, გურამ ლოლობერიძე?

— დედა ბრძანდებით?

კიო,—თქვა დედამ და სამი ბიჭი მოსწყდა ადგილს. და სანამ მოუყვანდნენ შვილს, დედას უამბეს სხვებმა, რომ გურამი ძალიან კარგადაა, რომ ქვიშხეთელებს ფეხბურთში შეეჯიბრნენ და ბურთი გურამმა გაიტანა, რომ იგი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

აი გურამიც. დავაჟკაცებული ეჩვენა დედას ერთი კვირის უნახავი შვილი.

შეიპატიჟეს მშობელი ეზოში. დედის თვალმა ყველაფრის ნახვა მოისურვა და აჩვენეს: ფართო და ნათელი საძინებელი ოთახები, ნაძვის ტოტები რომ იცქირება მათ ფანჯრებში, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, აბანო, სასადილო, ეზოში საკუთარი ხელით გაშენებული ნაძვები და არყის ხეები...

— გურამ, ხომ არ გწყინდება, მართალი მითხარი?—ჰკითხა დედამ, მარტო რომ დარჩნენ.

— მწყინდება? სულაც არა. პირიქით. მეორე ნაკადზედაც დავრჩები, საგზურს თუ იშოვნი. იცი, რა უცბად დავმეგობრდით? ყველას უნდა დარჩენა!

ვილაც აკორდეონს უკრავს, ზოგნი წიგნს კითხულობენ, ზოგნი იარაღებზე ვარჯიშობენ, წერენ ლაშქრობის შთაბეჭდილებებს, ამზადებენ კედლის გაზეთს და ადგენენ პროგრამას თვითშემოქმედებითი საღამოსათვის. ყოველ ჯგუფს თითო საღამო—კონცერტი აქვს ჩასატარებელი, ყოველი ხის ძირას საიდუმლო მზადებაა.

დაბინდდა. დედა სტოვებს ბანაკს და იმედიანი მიჰყვება ტაშისკარის შარაგზას. კარგად დაუხვდა შვილი, ასევე კარგად არის 279 ბავშვი, მის შვილთან ერთად რომ ისვენებს. მეორე ნაკადში ახლები მოვლენ, ახლა ისინი გაკაჟდებიან. სულ 840 ბავშვი დაისვენებს ტაშისკარის პიონერთა ბანაკში. და მათ მშობლებს მადლობის მეტი არა ეთქმით რა.

**ლ. ბაგლოევა.**

# ქალბი ქალთუზით...



ირინა პეტროვა თავის ასპირანტებთან—ნანა ლამბაშიძესა და ინოლა გურგულიასთან

ფოტო დ. იაკობაშვილის

ზარი.

კარი პატარა ბიჭმა გააღო.

— ბებია შინ არის?—კითხულობენ მოსულნი.

— მობრძანდით, შინ არის,—პასუხობს ბიჭუნა. იგი კარგად იცნობს ნანა ლამბაშიძეს და ინოლა გურგულიას. კვირაში ორჯერ მოდიან ისინი ბებიამისთან. ოთხშაბათობით სემინარი აქვთ, პარასკევობით—რიგგარეშე კონსულტაცია. ირინა ყოველთვის აქებს მათ. ნანა და ინოლა წარჩინებული ასპირანტები არიან.

... ისევ ზარი.

ახლა კარებთან ახალგაზრდა ქალი შეეგება.

— შეიძლება? დედა შინ არის?

— მობრძანდით, შინ არის, — ამბობს იგი და მოსულთ ირინას ოთახში შეუძღვება. ნონამ იცოდა, რომ დღეს ინსტიტუტიდან ახალგაზრდა მასწავლებლები უნდა მოსულიყვნენ, ირინას ყოფილი სტუდენტები. «დედა ძალიან დაღლილია, ცოტა მაინც დაესვენა», ფიქრობს შვილი, მაგრამ არაფერს ამბობს.

... კვლავ ზარი.

კვლავ იღება კარი.

— უკაცრავად, პატივცემული ირინა შინ ბრძანდება?

— შინ გახლავთ.

— შეიძლება?

ირინას მეუღლე არ იცნობს ახლად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსულთ, მაგრამ უყოყმანოდ პასუხობს:

— რასაკვირველია, შეიძლება.— «ირინა დღეს საოჯახო საქმეებითაა დატვირთული, შვილიშვილებს საზაფხულო კაბებსა და ხალათებს უკერავს, მაგრამ არა უშავს-რა, ალბათ ხვალისთვის დაიბარებს», ფიქრობს იგი.

ასეა ყოველთვის—ხან ვის ნახავთ და ხან ვის თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრის გამგის ირინა პეტროვას სახლში საკონსულტაციოდ მოსულს. ზოგჯერ რაიონიდან წამოსულ მასწავლებლებსაც კი შეხვდებით აქ. ირინა ყველასათვის ნახულობს დროს. შვილები წუხან, დედა ძალიან დატვირთულია, მან ხომ ბევრი სიმძიმე გადაიტანა ომის წლებში, ვაი თუ, ფიზიკურად გაუჭირდესო—ომის წლებში მეუღლე ავად ჰყავდა, თვითონ ჯარში მსახურობდა მთარგმნელად, სამ შვილსაც უვლიდა.

დილაობით ყველას სამსახურში მიეჩქარება. სახლში ისევ ირინა დაფაცურობს. წასვლამდე ბაზარსაც ასწრებს და სახლის მოვლასაც.

... აქაც ზარი.

დერეფნებში წყდება ჟრიამული. აუდიტორიები სტუდენტებით ივსება. ირინა თავისი ჯგუფისკენ მიემართება. იგი ყოველთვის მეტ მსმენელს ხვდება ჯგუფში, ვიდრე სიით ირიცხება. მის ლექციებს ესწრებიან სხვა ჯგუფის სტუდენტები და კათედრის ახალგაზრდა მასწავლებლები.

— დღეს საცდელი სამუშაო უნდა ჩავატაროთ, — ამბობს ირინა,—ეს ერთგვერდიანი მოთხრობა უნდა გადათარგმნოთ ქართულად, რაც შეიძლება კარგი ქართული ენით. შემდეგ საათზე ქართულიდან ინგლისურად ვთარგმნით სხვა ტექსტს, საუკეთესო თარგმანთა ავტორები მთარგმნელთა სექციაში უნდა გავაერთიანოთ, «სტუმრებმაც» უნდა მიიღონ მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში აეკრძალებათ ჩემს ლექციაზე დასწრება,—გაიღიმა ირინამ და «სტუმრებს» გადახედა...

ირინა ღრმად სწვდება ადამიანის, მეტადრე ქალის, ბუნებას, მის ფსიქოლოგიას. შესანიშნავად იცის ყოველი სტუდენტის, ყოველი მასწავლებლის მისწრაფება და შესაძლებლობა. ამიტომ არის მისი ლექციები და კონსულტაციები ასე მიმზიდველი და ნაყოფიერი.

ირინა თარგმანსა და პრაქტიკას ასწავლის. როგორც თარგმანი, ისე პრაქტიკა არა მარტო ენის ბრწყინვალე ცოდნას მოითხოვს, არამედ ლექტორის საერთო განვითარებას, მის მდიდარ ფანტაზიას, სწორედ იმას, რაც ამ ქალშია. ქალებს გვწყინს ხოლმე, როცა ირინაზე ამბობენ მამაკაცური აზროვნება აქვსო... კარგი კარგია, ჭკვიანი ჭკვიანია, გინდ მამაკაცი იყოს, გინდ—ქალი.

ირინა პეტროვამ, ინგლისური ენა რომ ბრწყინვალედ იცის, ამას თვით ინგლისელი ლინგვისტებიც აღიარებენ ხოლმე, როცა მის ლექციებს ესწრებიან. უცხოელი სტუმრები აღტაცებაში მოდიან მისი წმინდა ლიტერატურული ინგლისურის ცოდნით. ამას მოწმობს აგრეთვე მისი შრომები. მან ინგლისურ ენაზე თარგმნა «იგორის ლაშქრობა» და გასულ წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა თემაზე: «თარგმნის ზოგიერთი საკითხი («იგორის ლაშქრობის» თარგმნის ცდის მასალაზე»). მის შრომას მაღალ შეფასებას აძლევენ როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მეცნიერები და მთარგმნელები.

გასულ წელს ჟურნალ «Культура и жизнь»-ის №2-ში ირინამ წაიკითხა ედინბურგის უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის პროფესორ დენის უორდის სტატია: «იგორის ლაშქრობის» თარგმნის პრინციპების შესახებ (1958 წელს, მოსკოვში, სლავური ენების სპეციალისტთა კონგრესზე წაკითხული მოხსენების გამო)». ჟურნალის საშუალებით ირინა მაშინვე დაუკავშირდა პროფესორ უორდს, გაუგზავნა მას თავისი თარგმანი და დისერტაციის მოკლე შინაარსი და სთხოვა გამოეთქვა აზრი მისი თარგმანის შესახებ და გამოეგზავნა საკუთარი თარგმანი და რეცენზია.

აი, რას წერს პროფესორი დენის უორდი ირინა პეტროვას:

«მე დიდი სიამოვნებით წავიკითხე თქვენი მოხსენება «იგორის ლაშქრობის» თარგმნის შესახებ. უნდა ვაღიარო, რომ თქვენს შრომას ბევრ რამეში ვეთანხმები. არის ზოგიერთი წვრილმანი, რომელშიც არ გეთანხმებით, მაგრამ ეს საერთოდ შესანიშნავი თარგმანია. მე ამას ვამბობ, რადგან მე მას ვუყურებ, როგორც თარგმანს, შესრულებულს არა უცხოელის მიერ. არამედ ინგლისელის მიერ, როდესაც მხედველობაში ვღებულობ, რომ ეს თარგმანი შესრულებულია საბჭოთა მეცნიერის მიერ, ე. ი. მთარგმნელისათვის უცხო ენაზე, მაშინ შემიძლია ვთქვა, რომ ეს ბრწყინვალე ნაშრომია. იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, თუ რამდენად კარგად არის დაყენებული თქვენთან უცხო ენების სწავლების საქმე».

ირინა კარგად ფლობს ქართულ ენასაც. მდიდარია მისი ლექსიკა ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ქართულ ენებზე. მოხდენილი სიტყვების შერჩევა იცის ირინამ.

მახსოვს, ერთხელ, ლექციაზე ოსკარ უაილდის რომელიღაც ზღაპარს ვთარგმნიდით. მაშინ მესამე კურსზე ვიყავი. ერთ ფრაზაზე შევჩერდი. ორ სიტყვას ქვეშ მსხვილი ხაზი გავუსვი. სიტყვების მნიშვნელობა ვიცი, მაგრამ, რატომღაც, სწრაფად კარგად ვერ გადმოვაქართულე. სახეზე ყოყმანი შემეტყო. ირინა მომიახლოვდა, დახედა ჩემს ნაწერს, თავი გაიქნია და მითხრა: «რა მოგივიდა, ქორფა ბალახი არ გაგიგია?» მას შემდეგ რამდენჯერაც ამ სიტყვას გავიგონებ, იმდენჯერ სირცხვილის სიწითლე გადამივლის სახეზე.

ამას წინათ გამომცემლობა «ცოდნამ» ინგლისურ ენაზე გამოსცა სულხან-საბა-ორბელიანის «სიბრძნე სიცრუისა» ი. პეტროვას და ჯ. მჭედლიშვილის თარგმანი. გაზაფხულზე ირინას ვთხოვეთ მოგვეწყო მათი თარგმანის განხილვა.

— უმჯობესია შემოდგომისთვის გადავდოთ, — გვიპასუხა ირინამ,— გამოცდები ახლოვდება, სტუდენტები დაიფანტებიან. გარდა ამისა, ახლა ძალიან დაკავებული ვარ. საღამოობით ვენერა ურუშაძესთან დავდივარ, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის «ქართული ხელოვნების ისტორიის» თარგმანზე ვმუშაობთ. გამოსაცემად გადასაცემი მაქვს ა. ალხაზიშვილისა და ჩემს მიერ შედგენილი «ფონეტიკის შესავალი კურსი», სექტემბერში სტუდენტებს ხელზე უნდა ჰქონდეთ სახელმძღვანელო.

**ნინო ცისკარიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედამთილისეული



მოთხრობა

მაშინ მაიკო ცისკრის ვარსკვლავს ედარებოდა. შვენოდა ქმრის ნაჩუქარი ფირუზის საყურეები. სიამაყით ატარებდა მათ. სიყვარულით დაჰყურებდა შემდეგ პაწია ტყავის კოლოფში ჩალაგებულთ, დაქვრივებულმა რომ მოიხსნა ყურებიდან.

რამდენჯერ გადაარჩინა გაყიდვას: ბიჭი მეზრდება, შინ რძალი შემომივაო.

და ეღირსა ცისფერთვალება, გედივით ყელმოღერებული რძალი და მას მიართვა თავისი ნიშანყუთი.

— შენ იცი და შენმა ქალობამ, შენ გაბარებ ჩემს ერთადერთას, ჩემს ნაგვიანებ შვილს ოჯახიც შენთვის შემომინახავს, სავსე ოჯახი.

— სავსეა, ძალიან სავსე,—შენიშნა რძალმა, და სულ მალე შეუდგა ოჯახის დაცლას. გაჰქონდა ძველი ავეჯი, მოჰქონდა ახალ-ახალი.

«დაე, ახალგაზრდები ახლებურად მოეწყონ, ოღონდ მე დამტოვონ ჩემს ოთახში ძველებურად, ჩემს საწოლში, ჩემს კომოდთან, ჩემს თაროსთან. როცა მინდა დავიძინო, როცა მინდა გავიღვიძო,»—ფიქრობდა სახედამჭკნარი მაიკო.

მაგრამ ნანამ მაიკოს ოთახშიც შედგა ფეხი, მაიკოს ფართობზეც დაიჭირა თვალი, სასადილოდ გამიზნა და იქაც დატრიალდა.

— ეს კომოდი, ოჰ, რა სასაცილო კომოდია, —თქვა და დედამთილს გული ჩაუწყვიტა.

ამ კომოდში ინახავდა მაიკო იმ ნიშანყუთს, ნანას რომ მიართვა, ამ კომოდში ინახავდა ჩიხტიკოპს და ქართული კაბის გულისპირს, აქ ინახავდა დაზოგილ გროშებს ობოლი შვილის გამოსაზრდელად.

კომოდიც გაიტანეს მაიკოს ოთახიდან და ქმრის ნახელავი წიგნების თაროც, სადაც პირველად «დედა ენა» შესდო შვილისათვის.

ნანამ მამამთილის სურათიც ჩამოხსნა კედლიდან და რემბრანტის «ბერიკაცი» ჩამოჰკიდა

ყველაფერზე თავს უკრავდა მაიკო, ყველაფერზე ეთანხმებოდა ნანას.

— მართლაც, რად მინდა ამხელა ოთახი ერთ ჩია დედაკაცს, სასადილოს ახალი ავეჯი აქ დიდებულად გაიმართებაო,—ამბობდა წყნარად და ნანაც რთავდა ოთახს: სერვანდით, ოვალური მაგიდით და სპარსული დაბალი ტახტით.

— თქვენ ამ ტახტზე მოისვენებთ, ეს ჯაბახანა კი გარეთ გავაგდოთ!—თქვა სიცილით ნანამ და ნიკელის ბურთებიან ძველ საწოლს ეზოში გადაუძახა.

თვალები გაუფართოვდა მაიკოს. ეს ხომ მისი ნამზითვი საწოლი იყო. ნახევარი საუკუნე ეძინა იმ საწოლში. სულიც ზედ უნდა დავლიო, —ამბობდა ხშირად და ისე იოლად შეელია.

—ასე სჯობს, ასე მირჩევნიაო,—უთხრა ნანას სახეგაღიმებულმა. ღამით კი დიდხანს იტრიალა ლოგინში, განიერ სპარსულ ტახტზე დარდისაგან ვერ დაეტია.

შეეჩვია ბოლოს. სტუმრების წასვლის ლოდინსაც შეეჩვია. თვლემდა სადღაც ბნელ კუთხეში, უჩინარი, უწყინარი, რომ ნაშუაღამევს გაეშალა თავისთვის ლოგინი.

შემდეგ ოთახი რძალს შესთავაზა: საკუჭნაო მირჩევნიაო, სითბოც მეტია, სიმყუდროვეცო.

— სკლეროზია, სკლეროზი!—ჩურჩულებდა შვილი მხრების აწევით... რა იცოდა მან, რომ ეს მისი ცოლის ოინები იყო.

და გადასახლდა მაიკო საკუჭნაოში. სარეცხი მანქანის ხმარებასაც შეეჩვია, იატაკის ელექტროსაწმენდსაც... რეცხავდა, აპრიალებდა, კერძს ხარშავდა, სუფრას შლიდა. დილიდან ღამემდე დაფამფალებდა, ფოსტლებს დააფლატუნებდა და ყველაფერს უხმოდ ურიგდებოდა. იტანდა, ვიდრე პატარა აჩიკომ ნანას ბარათი არ შეუთრია საკუჭნაოში ძაფზე გამობმული... ის ბარათი დიდხანს ეძება შემდეგ ნანამ.

«ჩემო მედი»,—სწერდა მეგობარს,—მოვიფიქრე დედამთილის თავიდან მოშორების ხერხი— ავიღო საკუჭნაოს ტიხრი და სასადილო გავაფართოვო. მაშინ ვიცეკვოთ და მოვილხინოთ».

გვიან, ღამით კი ნანა ქმარს ებასა:

— იღლება, ძალიან იღლება, სოფელში გავგზავნოთ იმ მარტოხელა ნათესავთან, რომ ეხვეწება ჩამოდიო, დაისვენებს.

— ჩინებული აზრია!—დაეთანხმა ქმარი...

ფეხაკრეფით შევიდა ღამით რძლისა და ვაჟიშვილის საძინებელ ოთახში მაიკო. შვილს დახედა, ხელზე ემთხვია. ცოლის ამბორად მოეჩვენა შვილს დედის კოცნა, ცოლის სახელი წარმოსთქვა ძილში. «უყვარს. ო, რა ძალიან უყვარს ცოლი»,—გაიფიქრა მაიკომ და რძალს შეხედა ალერსიანად.

შვილიშვილი დალოცა შემდეგ: გაიზარდეო, სათვალეებიც დაუტოვა სასთუმალთან. აკი მუდამ თხოვდა: ბებიკო, მომეციო. ან რად უნდა საიქიოში სათვალეები? საკუჭნაოში დაბრუნდა ბოლოს და ფანჯარასთან დაჯდა...

დილით ნანა შევიდა საკუჭნაოში განზრახულის სათქმელად და გაშეშდა...

თაფლის სანთლის ფერი გამხდარიყო მაიკო. წამწამებზე ობოლი ცრემლი უკამკამებდა.

კალთაში ნანას ბარათი ედო და შხამიანი შუშა.

ჯერ ბარათს სტაცა ხელი ნანამ, შემდეგ შუშას.

გაუხსნელი აღმოჩნდა შუშა. ალბათ, შვილთან მოსალოდნელი განშორების სამძიმეს ვერ გაუძლო მოხუცის გულმა.

აქვითინდა ნანა. რად? სინდისი ქეჯნიდა?

რად შეინახა შხამით სავსე შუშა უბეში? სასჯელის შეეშინდა? თუ თავისთვის შეინახა. მასაც ხომ შემოუვა რძალი!

**თამარ ჩხაიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის

# მიზანი არ ელევა



მაღალ შუბლზე ფიქრებისა და განცდების კვალი აღბეჭდია. თმა გაჭაღარავებია. სული კვლავ ახალგაზრდული აქვს და ჭკვიანი შავი თვალები შინაგანი ცეცხლით გიზგიზებენ...

მან ბევრი ნახა და განიცადა, ბოლოს მაინც იხილა ის, რისთვისაც ვაჟკაცებთან ერთად უშიშრად იბრძოდა და იღწვოდა...

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, შემოქმედებითი შრომის ნაყოფიერმა წლებმა. ახლა ნატალია ჯიბუტი 60 წლისაა, მაგრამ მაინც წელგამართული და სახემომღიმარი დადის. თავმდაბალია, როგორც ნამდვილ, უანგარო ადამიანს შეეფერება და სიტყვაძვირი, როდესაც საუბარი მის დამსახურებაზე ჩამოვარდება.

ხალხის კეთილდღეობისათვის სამსახური, მშობლიური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული—აი მისი ცხოვრების ნათელი მიზანი.

* * *

1900 წელი. ჩოხატაურის რაიონი. სოფელი შუაამაღლება. ღარიბი გლეხი მათე ჯიბუტი დღესა და ღამეს შრომაში ასწორებდა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა...

მწირი და მოუსავლიანი იყო შუაამაღლება, გლეხები შორს, სამეგრელოს საზღვრებთან მიდიოდნენ და იქ იჯარით იღებდნენ მიწას. მათეც მათ რიცხვში იყო. მაგრამ ესეც არ შველოდა მის გაჭირვებას, ცოლ-შვილი სანახევროდ მშიერი დაუდიოდა.

ადრე გარდაიცვალა. ხშირად იგონებდა ქვრივი დედა ცხოვრებაში გაუხარელ მეუღლეს, ნასაკირალის აჯანყების მონაწილეს.

ოჯახის სიმძიმე ახალგაზრდა ქვრივსა და უფროს ქალიშვილებს დააწვათ. ისინი თოხნიდნენ ყანას, ეწეოდნენ მეაბრეშუმეობას, მუშაობდნენ ჩაის პლანტაციებში.

უმცროსი ნატაშაც ეხმარებოდა დედას საოჯახო საქმეში, მინდვრის სამუშაოებში. ახსოვს ნატალიას, თუ როგორ მიიყვანეს იგი პირველად პოპოვის ჩაის მეურნეობაში, სადაც დღეში 25 კაპიკს იღებდა. შემოდგომით კი სოფლის სკოლაში დადიოდა, დიდი მუყაითობით სწავლობდა წერა-კითხვას.

ხშირად დედას რვეულის საყიდელი ფულიც კი არ ჰქონდა, მაგრამ გოგონას ბეჯითობამ თავისი გაიტანა და სოფლის ორკლასიანი სკოლა დაამთავრა.

ღარიბ, მაგრამ სულით მდიდარ, პატიოსან გლეხებს შორის იზრდებოდა ნატალია. უყვარდა ქალიშვილს თანასოფლელები, ხედავდა მათ უმწეო მდგომარეობას, გული შესტკიოდა მათზე და არაერთი ღამე გაუთენებია იმაზე ფიქრით, თუ როგორ და რანაირი გზით შეიძლებოდა ღარიბთა მდგომარეობის გამოსწორება.

და აი დადგა 1917 წელი, დაუვიწყარი წელი ნატალიასათვის. იგი დაუახლოვდა ჯარიდან ჩამოსულ ბოლშევიკს სარდიონ ჯიბუტს. სულგანაბული ისმენდა მის ნათელ, გაბედულ საუბარს, გატაცებით კითხულობდა არალეგალურ ლიტერატურას.

1918 წელს ნატალია პარტიაში მიიღეს. ჩაება აქტიურ არალეგალურ მუშაობაში: დადიოდა ჩოხატაურის რაიონის სოფლებში, ეწეოდა ბოლშევიკურ აგიტაციას, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას.

1919 წელს ჩოხატაურის რაიონში მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. ბოლშევიკების არალეგალური სამაზრო კომიტეტი იარაღით ამარაგებდა აჯანყებულებს. აჯანყება მარცხით დამთავრდა. ძალიან გაუჭირდათ მაშინ ორგანიზაციის წევრებს. დევნისაგან რომ თავი დაეღწიათ, მუშაობა ტყეში გადაიტანეს...

მენშევიკების პარპაშს ბოლო მოეღო...

ნატალია გურიის სამაზრო კომიტეტთან შექმნილი რვათვიანი პარტსკოლის მსმენელი გახდა, მისი დამთავრების შემდეგ ლანჩხუთში ქალთა შორის მომუშავედ გაგზავნეს. აქ იგი რაიკომის წევრადაც აირჩიეს.

სანდო, დაუზარელი და ენერგიული ქალი პარტიას ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდა, იქ, სადაც საქმე მოითხოვდა. 1928 წლიდან ნატალია საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ქალთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიაში მუშაობს.

ამ კომისიის მიზანი იყო შრომაში ჩაება უმუშევარი ქალები, ცუდი ეკონომიური პირობების გამო პატიოსანი ცხოვრების გზას რომ ასცდენოდნენ. ასეთ ქალებს უქმნიდნენ ყოველგვარ პირობებს, უზრუნველჰყოფდნენ საერთო საცხოვრებლით, სასადილოთი. მათთვის მოწყობილი იყო ექვსთვიანი კურსები, რომელთა დამთავრების შემდეგ ქალებს ფაბრიკებსა და ქარხნებში აგზავნიდნენ სამუშაოდ.

ქალთა კომისიის დახმარებით, რომელიც შემდეგ ქალთა სექტორად გადაკეთდა, ავლაბარში გაიხსნა დედათა და ბავშვთა სახლი, სადაც საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ ქალები და ბავშვები. ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელების აქტიური ხელმძღვანელი იყო ნატალია ჯიბუტი.

შემდეგ ნატალია აფხაზეთის საოლქო კომიტეტში მუშაობდა. მერე საგარეჯოში... 1947 წელს იგი საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს.

ნატალია ჯიბუტს საკუთარი შვილები არ ჰყოლია, მაგრამ ვინ ჩამოთვლის მის გამოზრდილებს—ძმისშვილებსა თუ სხვებს? რამდენი ახალგაზრდა ჰყავს მადლიერი, რამდენი დაუყენებია სწორ გზაზე, გამოუჩენია მათდამი დედობრივი მზრუნველობა და სიყვარული.

ამჟამად იგი პერსონალური პენსიონერია. საქმეს და შრომას შეჩვეული, კვლავ ცდილობს სარგებლობა მოუტანოს ხალხს, სამშობლოს, ცხოვრების მიზანი არ ელევა.

ლატავრა ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნაკადულის" დედა

მოგონება

არ შეიძლებოდა ერთხელ მაინც გენახათ იგი და სამუდამოდ არ ჩაგბეჭდოდათ მისი სახე მეხსიერებაში. არ შეიძლებოდა თვალყური გედევნებინათ მისი უანგარო საქმიანობისათვის და გული სიამაყით არ აღგვსებოდათ. ხალხის სამსახური იყო მისი ფიქრის, ოცნების, გატაცების, სიყვარულის, შრომისა და შემოქმედების ერთადერთი საგანი.

ახლახან შესრულდა მისი დაბადების ასი წელი, ხოლო ორმოცდაათი წლის წინ გულისტკივილით დაიტირა ქართველმა ხალხმა მისი სიკვდილი. ეს იყო დაუვიწყარი ქართველი მოღვაწე და მწერალი ქალი — მარიამ ივანიშვილი — დემურია, რომლის ნათელი სიცოცხლე შთამომავალთათვის დარჩა სიკეთის, სილამაზის, ნათელი გონებისა და ჰუმანურობის მაგალითად.

... ეს იყო აუტანლად მძიმე დრო ჩვენი ხალხისა და ენისათვის. ეს იყო დრო, როცა მეფის მთავრობა სდევნიდა ქართულ ენას, ქართულ კულტურას. მარიამი ვერ ეგუებოდა ადამიანთა გულგატეხილობას, უიმედობას და მთელი თავისი საქმიანობით, პირადი ცხოვრებით გაბედულად ნერგავდა პატრიოტულ გრძნობებს და ხალხის სამსახურში ჰპოვებდა უდიდეს ბედნიერებას. მარიამ დემურიას შრომით და სიყვარულით დაარსდა და გზას იკაფავდა ნაძალადევის ბიბლიოთეკაც, თბილისის მუშათა საკვირაო სკოლებიც, მუშების მიერ შექმნილი «ავჭალის აუდიტორიაც» — პირველი ქართული სახალხო თეატრი და საყმაწვილო ჟურნალი — «ნაკადული». მარიამი სრულიად უსასყიდლოდ და წარმოუდგენელი თავდავიწყებით ემსახურებოდა ჟურნალს, როგორც მწერალი და რედაქტორი. მან შემოკრიბა ჟურნალის გარშემო მოწინავე მწერლები და საზოგადო მოღვაწეები — აკაკი და ვაჟა, შ. მღვიმელი და ლ. რაზიკაშვილი, ბაჩანა, ნ. ნაკაშიძე, ს. შანშიაშვილი და სხვები. ეს ჟურნალი აწრთობდა და ავაჟკაცებდა მომავალ თაობას. ეს ჟურნალი აძლევდა ბავშვებს გონებრივ საზრდოს და აღვივებდა პატრიოტულ გრძნობებს.

ჩვენ, მის ახლობლებს, მათ, ვინც პირადად იცნობდა მას, ბევრი გვაქვს მოსაგონარი მარიამის ცხოვრებიდან. ის იყო ყველა საქმის წამომწყები, ღარიბთა და ქვრივობოლთა გამკითხავი, დამხმარე, გულისხმიერი, კეთილშობილი და სათნო. «დეიდა მაშო» ასე ვეძახდით ოჯახში და ამ სახელით იცნობდა მას ბევრი სხვაც.

მე მახსოვს ის თავისი ორი ვაჟიშვილით 1896 წლიდან, როცა პირველად ჩაგვიყვანა დედამ თბილისში. დეიდა მაშო იყო დედაჩემის იმედი შვილების აღზრდაში. იმ დროს მარიამი უკვე ცნობილი ქალი იყო. მის ოჯახში იყრიდა თავს იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენცია. აკაკი, ვაჟა, ნიკო ნიკოლაძე, გ. ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, გრ. აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე, ვანო მაჩაბელი, შ. არაგვისპირელი — პირველად აქ, მარიამის ოჯახში ვნახე. ისინი დიდი მოწიწებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ მარიამს, რომელიც შესანიშნავად ზრდიდა თავის ორ ვაჟს და ამავე დროს ყოველთვის პოულობდა დროს დიდი ეროვნული საქმეებისათვის. ბებია-ქალის ხელობა საშუალებას აძლევდა უფრო ახლოს ყოფილიყო ხალხთან და მართალი სიტყვა უფრო ადვილად და გასაგებად ეთქვა მათთვის. ოჯახი, ორი შვილი, საზოგადო საქმე — ვერ გაიგებდი, რომელს აძლევდა უპირატესობას. მისი მოსვენება ხომ არ იყო. მთელი დღის განმავლობაში ფეხზე იდგა: იქ კრება, აქ რეპეტიცია, იქ დაიბარეს, აქ სახლში ელოდებიან...

მარიამი ახლოს იყო ლიბერალურად განწყობილ არისტოკრატიულ ოჯახებთან და ამ განწყობილებას იყენებდა ყველა საზოგადო და საქველმოქმედო საქმეებისათვის. მაგალითად, ნინო ერისთავ — ქობულაშვილისამ საგრძნობი თანხა გაიღო ჟურნალ «ნაკადულის» დაარსებისათვის. სხვათაშორის, ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ ამ ჟურნალს სახელი მარიამის უმცროსმა ვაჟმა, ვანომ შეარქვა. ერთხელ მარიამის სახლში არჩევდნენ ჟურნალის სახელწოდებას. «ნამი», «წყარო» და ბევრი სხვა სახელწოდება მოიგონეს, მაგრამ ვერცერთზე ვერ შეჩერდნენ. ამ დროს ვანომ წამოიძახა: დედა, «ნაკადული» ყველას სჯობიაო! და ასე დაერქვა ჟურნალს «ნაკადული».

მრავალფეროვანი იყო მარიამ დემურიას მოღვაწეობა: იგი ხშირად მართავდა კონცერტებს და წარმოდგენებს ციხეში პოლიტიკური პატიმრებისათვის, დარბოდა მსახიობებთან და სთხოვდა ყველას მიეღოთ მონაწილეობა. მისი თხოვნით გამოდიოდნენ კონცერტებზე ნიკო ქართველიშვილი და ია კარგარეთელი. შემოსული თანხით მარიამი ეხმარებოდა ღარიბ სტუდენტებს.

დაუვიწყარია მარიამის ღვაწლი ე. წ. «ავჭალის აუდიტორიისადმი». ფაქტიურად ეს იყო პირველი ქართული სახალხო თეატრი, სადაც მაყურებლები მხოლოდ მუშები იყვნენ. ამ თეატრს, მართალია, საფუძველი სხვებმა ჩაუყარეს, მაგრამ მისი არსებობის ფესვები გაამაგრა და დაამკვიდრა მარიამ დემურიას დიდმა ენერგიამ, სცენისადმი დიდმა სიყვარულმა და ენთუზიაზმმა. მარიამი თვითონ აკითხავდა ყველას და სთხოვდა მიეღოთ მონაწილეობა ამ დიდ სახალხო საქმეში. მისი ინიციატივით და თხოვნით მოვიდნენ აქ მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე და სხვები.

მარიამი არ ერიდებოდა არაფერს. თვითონ დარბოდა მსახიობებთან, აფრთხილებდა არ დაეგვიანათ რეპეტიციაზე, თავისი ხელით ეზიდებოდა დეკორაციებს, არ თაკილობდა არავითარ საქმეს, შიკრიკის მოვალეობასაც კი ასრულებდა, ოღონდ არ ჩაშლილიყო ეს ეროვნული საქმე.

ერთხელ, რომელიღაც სპექტაკლში საჭირო იყო სცენაზე მაწონი, მარიამს დიდი სასოებით მოჰქონდა თეატრში მაწონი ქილით, მაგრამ უცებ ხელიდან გაუვარდა და ქილა გატყდა. მარიამი გაფითრდა. გულგახეთქილი, თვალში ცრემლმორეული დასცქეროდა ქვაფენილზე დაქცეულ მაწონს. ვიღაც ქალი შეჩერდა და გაოცებით დააკვირდა მარიამს. მარიამმა აუხსნა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რისთვისაც სჭირდებოდა მაწონი. იმდენი უშუალობა, ისეთი გულისტკივილი ისმოდა მის ხმაში და გამოხედვაში, რომ უცნობმა სადღაციდან გააჩინა მაწონი და მარიამს ჩააბარა...

ერთხელ, მარიამის სახლში ბავშვებმა დავდგით ვოდევილი «დატრიალდა ჯარა». მე მოხუცის როლს ვთამაშობდი. ნატო გაბუნიამ, რომელიც ამ დროს იქ იყო, შემაქო. მარიამს მეტიც არ უნდოდა. ჩამაცივდა, აღარ მომეშვა და თეატრში წამიყვანა. ასე დაიწყო ჩემი სცენური მოღვაწეობა.

ქართულ სცენაზე «ღალატი» პირველად 1904 წელს დაიდგა მსახიობების ძალებით. შემდეგ მარიამის ინიციატივით — სცენისმოყვარულთა ძალებით, რომელშიც მონაწილეობდნენ იმდროინდელი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ოთარბეგს თამაშობდა ილია ზურაბიშვილი, სულეიმანს — ცნობილი იურისტი სანდრო ყანჩელი, ზეინაბს—სოფიო სამანიშვილი—«ავჭალის აუდიტორიის» მუდმივი მონაწილე, რუქაიას—ნ. თარხნიშვილი და ერეკლეს—ჩემი ძმა შ. ამირეჯიბი. ამ წარმოდგენის შემოსავალით მარიამი ღარიბ სტუდენტებს დაეხმარა.

ასეთი იყო ის—უანგარო, ეროვნული საქმისათვის თავდადებული, უბრალო და დიდი ქართველი ქალი, რომელმაც კიტა აბაშიძის მეუღლის, თეკლე ორბელიანის მკლავზე დალია სული 1910 წლის იანვრის სუსხიან დღეს. ქართველმა ხალხმა უდიდესი გულისტკივილით, დიდი გლოვით გააცილა იგი კუკიის სასაფლაოსაკენ.

გავიდა ათეული წლები, მაგრამ ისევ მოჩუხჩუხებს და მოიმღერის მარიამ დემურიას «ნაკადული», ასწავლის ახალ თაობას შეინახოს და ზარდოს ჩვენი წინაპრების სისხლის ფასად მოპოვებული ბედნიერი ცხოვრება, ასწავლის როგორ აშენოს ხვალინდელი დღე...

ჩვენს ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება მისი ჭკვიანი, ჩაფიქრებული თვალები, მაღალი, ნათელი შუბლი, ჩვენ მოწიწებით ვხრით თავს ამ შესანიშნავი ქართველი ქალის უჭკნობი სულიერი სილამაზის წინაშე.

**ცაცა ამირეჯიბი,**

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.



# ნაკადული

მარიამ დემურიას ხსოვნას

ნეტავ მას,
მაღლით ვისაც უვლია,
პატარას გული ვისაც ენდობა,
მწყურვალს მოუვლა ცოდნის წყურვილი
და უანგარო სწიო დედობა!

* *

შენ თვით ივლებდი
და ასო-ასო
საზრდოს აწვდიდი, როგორც ქედანი.
დღეს ფრთაშესხმულებს შენგვარი
ახსოვთ
ნათელმოსილი ქართვლის დედანი.

* *

გათოშილ თითებს კოცნით ათბობდა —
პატარობაში — გვახსოვს დედისგან.
ჩვენ — გულს გვითბობდი,
შენ კი გათოვდა...
სითბოს მომფენო და სიკეთისა!

* *

თუ ბავშვობაში გვახსოვს დედისგან:
„— გტკივა? — გაკოცებ და მოგირ-
ჩება!"

ზღვა სატკივარში ქართლის ბედისა
შენი ალერსი გამოირჩევა.

* *

შუბლზე ემთხვიე. ტკბილ ნაამბობით
კაცს შემდეგ ქვეყნად ლაღად უვლია.
ის მშობლიური, უხვი ამბორი
ყრმათათვის შენი „ნაკადულია".

* *

ხან ჩანჩქერების შხეფით მოილ-
ტვის,
ხან ყვავილებით დახატულია,
თან სიყვარული
რომ სდევს ყოველთვის —
დაუშრეტელი ნაკადულია.

* *

სავსე სურები.
ლიტრებში სავსე! —
გადმომჩქეფარე ტკბილ ასოებად —
ჩვენი მშობლების ევლიან გზაზე
სიმართლე,
რწმენა
და სასოება.

**მაყვალა მრევლიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზღვა იყო უსაზღვრო და ლურჯი, ნაპირს რეცხავდა ტალღა და მისი ხმაური დუდუნში გადადიოდა. უყურეს და იფიქრეს ბიჭებმა: რა ღონიერია! მინდა ასეთი ვიყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელენე მასწავლებლის ბაღი

გინახავთ აგვისტოს დამლევს ან სექტემბრის დასაწყისში დამწიფებული ბალი?

რა თქმა უნდა, არა!—გაიკვირვებთ თქვენ, მაგრამ მარტყოფელებს არ გაუკვირდებათ. მათ ბევრი სხვა სოფლელი ან ქალაქელი გაუოცებიათ, როცა მწიფე შავ ქლიავთან ერთად ახლად დაკრეფილი გემრიელი, ვარდისფერი ბალი უჩვენებიათ.

ზემო სოფელში, ელენე სამჭკუაშვილის ბაღში, ივნისის ბოლოს, როცა ფოთლებში ვეღარ იმალება სიმწიფისაგან ჩაშაქრებული წითელი ბლის კუნწულები, მწიფე ნაყოფით დახუნძლულ ხეებს შორის მწვანე ბლის კურკისოდენა ნაყოფმოსხმული ხეები დგანან. ეს საგვიანო ბალი დიდი ხანი არ არის რაც ამ ბაღში გაჩნდა.

... ბუნების დიდი მოტრფიალე, ბიოლოგიის მასწავლებელი ელენე სამჭკუაშვილი მარტყოფის საშუალო სკოლის სასწავლო-საცდელ და თავის საკარმიდამო ნაკვეთებზე ბევრს მუშაობდა ხეხილისა და ბოსტნეულის ახალი ჯიშების გასავრცელებლად.

მისი დიდი შრომის ნაყოფი იყო, რომ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მეგზურში «პავილიონი, საქართველოს სსრ რესპუბლიკა» ეწერა: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეხილეობის საცდელი სადგური «სწავლობს საქართველოს მიჩურინელების ბესტავაშვილის, სამჭკუაშვილის, ნახუცრიშვილის, ხითარიშვილისა და სხვების გამოცდილებას და ხელმძღვანელობს მათ მუშაობას».

ელენე სამჭკუაშვილის უანგარო შრომის დაფასება იყო, რომ საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ იგი საპატიო სიგელით დააჯილდოვა «1956—1957 სასწავლო წელს სკოლების სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოების, სასწავლო-საცდელი ნაკვეთებისა და ბიბლიოთეკების მდგომარეობისა და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერების მაღალ დონეზე ჩატარებისა და ამ საქმეში თვალსაჩინო მიღწევების მოპოვებისათვის».

და მოხდა ისე, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე.

სწორედ ამ მიჩურინელი მასწავლებლის ბაღში თავისით ამოვიდა შესანიშნავი საგვიანო ბალი, შემთხვევით ამოვიდა და, რომ იტყვიან, სწორედ კარგი პატრონის ბაღში იპოვა ბინა. აქამდე თუ მის კარმიდამოში მუშტისოდენა ატმები, ჯიშიანი ვაშლები, მსხლები იდგა, ნაირფერი ვარდები, გეორგინები, ასტრები, ცინიები ჰყვაოდა, მათ მხარი დაუმშვენა თეთრმა ბალმა.

ელენემ ამ ხის პირველი «დიდი» მოსავალი—ნახევარი კილოგრამი ბალი—თხუთმეტიოდე წლის წინათ აკადემიკოს ნიკო კეცხოველს მიართვა. შემდეგ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეხილეობის საცდელი სადგური დაინტერესდა, გამოცდილმა ბოტანიკოსებმა ნახეს ეს ხე. ზოგიერთების აზრით, მისი თესლი ფრინველებმა ჩამოიტანეს შემთხვევით ჩრდილოეთიდან. ელენეს აზრით კი იგი ბუნებრივად ამოვიდა, თვით ბუნებამ შექმნა ეს ჯიში.

მთავარი მაინც ისაა, რომ ამ შესანიშნავი ჯიშის ფართო გავრცელება დიდ სარგებლობას მოგვიტანდა.

ე. სამჭკუაშვილი ყოველწლიურად ატარებს მცენარეზე დაკვირვებას. ახლა ამ ჯიშის უკვე რამოდენიმე ძირი ხე აქვს. საადრეო ბლებთან ერთად ყვავილობენ, ისეთივე კვირტები და ყვავილები აქვთ, მხოლოდ ნაყოფის განვითარება ხანგრძლივად მიმდინარეობს, დამწიფება მეტხანს გრძელდება, დაკრეფილი ბალი 10 დღემდე ინახება და ძალიან გემრიელია.

სამგორის რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგემ აგრონომმა გიორგი დათუაშვილმა ამ ბლის შესახებ დაწერა საინტერესო საბავშვო მოთხრობა «ბლის კუნწულა», რომელიც დაბეჭდილია მისი მოთხრობების წიგნში «მომღერალი ქვიშა». გ. დათუაშვილის ინიციატივით ამ ხის კალმები დასამყნობად წაიღეს გორის რაიონის სოფელ სკრაში.

ე. სამჭკუაშვილმა 1921 წლის თებერვალში დაიწყო მასწავლებლობა, ამიტომ მასწავლებლები ხუმრობით ამბობენ: მომავალი წლის თებერვალში ორი იუბილე გვექნება აღსანიშნავიო.

იგი თვითონ დედა არ ყოფილა, მაგრამ 39 წლის მანძილზე ბევრი ბავშვი გამოუზრდია.

«დედ-მამა არა ჰყავს, ცოდოაო»—იტყოდა ხოლმე იგი კ. ძამაშვილზე და ხშირად აძლევდა ფულს მის ბებიას: ბიჭს უყიდე რამეო. ვ. შპეტიშვილს რომ საგამოცდო წერაში შემთხვევით გაპარული შეცდომის გამო ნიშანი დაუკლეს, ელენემ სამინისტრო შეაჯერა, კომისია დაანიშვნია, საგანი ხელმეორედ ჩააბარებინა.

მისმა ყოფილმა მოსწავლემ არჩილ ძამაშვილმა სოციალისტური შრომის გმირობა რომ მიიღო, ელენემ დეპეშით აცნობა თავისი სიხარული: «ჩვენო საამაყო შვილო არჩილ, წრფელი გულით გილოცავ პატიოსანი შრომით მოპოვებულ შრომის გმირობას.» მერე არჩილისაგან მიღებულმა საპასუხო მადლობამ აღაფრთოვანა.

* * *

ჰყვავიან ელენე სამჭკუაშვილის ბაღში წითელი და თეთრი ვარდები, დაყვითლებულან საგვიანო ბლის კუნწულები, დავაჟკაცებულან მისი ყოფილი მოსწავლეები.

**მარიამ დელბაშიშვილი**



კოპენჰაგენი ღამით

ამ გაზაფხულზე, დანიაში, ქალაქ კოპენჰაგენში ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო შეხვედრა. კოპენჰაგენში ჩამოვიდნენ ქალები მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან—სხვადასხვა რასის, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე.

მაგრამ სალაპარაკო მათ ერთი ჰქონდათ: ქალის მდგომარეობა გუშინ, დღეს და ხვალ.

73 ქვეყნის 1000-ზე მეტ წარგზავნილს უნდა ეთათბირა, გაეზიარებინა თავისი გამოცდილება ქალთა მოძრაობის საქმეში. რა მოვიპოვეთ ჩვენ ამ 50 წლის მანძილზე?—მსჯელობდნენ ისინი.

შეხვედრა გახსნა ცნობილმა დანიელმა მოღვაწე ქალმა ანა ვესტერგარდტმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ შეხვედრის მიზანია ქალთა პირობების გაუმჯობესება და თანასწორუფლებიანობის მოპოვება. ეჟენი კოტონმა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარემ (საფრანგეთი) ილაპარაკა ქალების როლის შესახებ შიმშილისა და უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში. მან აღნიშნა, რომ დაიბადა ახალი ქალი, რომელსაც სხვა ინტერესები აქვს, თუმცა იგი არ ამბობს უარს სილამაზეზე, ბავშვებზე, სიყვარულზე—და ამასთან ერთად სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების ყველა დარგში მოღვაწეობაზე. მომხსენებელი აგრეთვე შეეხო საბჭოთა კავშირის ქალთა მიღწევებს მეცნიერებაში, მედიცინაში, ლიტერატურაში.

მარგარიტა ტიბერმა (საფრანგეთი) აღნიშნა, რომ მაშინ, როცა ქალებმა განთავისუფლებულ ქვეყნებში თავისუფლება მოიპოვეს, ევროპაში შრომაში ჩაბმული ქალთა რიცხვი კი არ იზრდება, პირიქით—იკლებს.

ეკონომიურ ცხოვრებაში ქალის მონაწილეობის შესახებ ილაპარაკა ჯიოვანა პრატილიმ (იტალია), რომელმაც აღნიშნა, რომ თანასწორუფლებიანობა ყველგან არაა გატარებული.

შვეციის წარმომადგენელმა ჯონსტონ აკერმანმა დაასურათა მოსამსახურე ქალის ცხოვრება შვეციაში და აღნიშნა, რომ მისი მოვალეობა მხოლოდ ბავშვების მოვლა-პატრონობით განისაზღვრება. აკერმანი მოითხოვდა ბავშვთა დაწესებულებების გამრავლებას და მამაკაცების მონაწილეობას ბავშვთა აღზრდის საქმეში.

პალმა მილენდე ნიკოლაუმ (მექსიკა) თავისი გამოსვლა ქალის განათლებას და კულტურულ განვითარებას მიუძღვნა. სხვათაშორის, მან აღნიშნა, რომ ამერიკის, კანადის, ინგლისის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქალთა რიცხვი საოცრად დაბალია.

ქალთა ორგანიზაციების ამოცანების შესახებ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის საქმეში ილაპარაკა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის ინდოეთის ასოციაციის თავმჯდომარემ რამეშვარი ნერუმ, რომელიც ქალთა ორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ 50 წლის წინათ ჩაება.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ნინა პოპოვამ ილაპარაკა იმაზე, თუ რა წარმატებებს მიაღწია ქალმა საბჭოთა კავშირში. მან კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს საბჭოთა ქალი წარუდგინა როგორც კომუნიზმის მშენებელი და დედა, რომელზეც გულისხმიერად ზრუნავს ჩვენი სახელმწიფო და კომუნისტური პარტია.

შემდეგ დღეებში მუშაობა მიმდინარეობდა სემინარების სახით, სადაც შეხვედრის მონაწილეებს აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება მიეცათ. კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ არაა მიღწეული ქალის სრულუფლებიანობა, ამ ქვეყნებში ქალი, როგორც მოქალაქე, დედა, მშრომელი, ჯერ კიდევ დისკრიმინაციას განიცდის, გათხოვილ ქალთა სამუშაოზე მოწყობა შეზღუდულია, აგრეთვე შეზღუდულია შავკანიან ქალთა მოქალაქეობრივი უფლებებიც. ქალებს არავითარი პირობები არა აქვთ შექმნილი პროფესიის დაუფლებისათვის, ქალის შრომის გასამრჯელო გაცილებით ნაკლებია მამაკაცებთან შედარებით. კაპიტალისტურ ქვეყნებში არაა მოწესრიგებული აგრეთვე დედათა და ბავშვთა დაცვის ორგანიზაციები. ბევრ ქვეყანაში ქალს არა აქვს საარჩევნო ხმის უფლება, დაჩაგრულია და მონადაა ქცეული.

«ჩვენი ხალხი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვის,—სთქვა დელეგატმა ქალმა კამერუნიდან,—ჩვენი ქვეყანა მდიდარია რკინით, ალუმინით და სხვა მადნეულით. ჩვენ გვჭირდება საკუთარი წარმოება, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის ექსპლოატაცია თვითონ ვაწარმოოთ. ჩვენ, კამერუნის ქალებს, სხვა ქვეყნების ქალებთან კავშირის უფლება არა გვაქვს. არც მამაკაცებია ჩვენთან თავისუფალი. კოლონიალიზმი გვარბევს. ქალების მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა. არსად არ არის ქალი ისეთ მძიმე პირობებში, როგორც ჩვენთან, აფრიკაში. ჩვენი შვილები სკოლაში ვერ დადიან. 10—12 წლის ასაკის ბავშვები ციხეში სხედან. ეს ყველაფერი კოლონიზატორების ხელით ხდება. ქალების 90 პროცენტი—წერა-კითხვის უცოდინარია. მამაკაცების მხოლოდ 20 პროცენტი სწავლობს სკოლაში. ჩვენ გვინდა, რომ კოლონიზატორები წაეთრიონ ჩვენი ქვეყნიდან. ჩვენც ხალხი ვართ. შავები ვართ, მაგრამ ეს ჩვენი ბუნებრივი ფერია, ჩვენ გვიყვარს ჩვენი ფერი. და გთხოვთ მთელი ქვეყნის ქალებს: ჩვენ მშვიდობა გვინდა. მოგვეხმარეთ, ხელი შეგვიწყეთ.»

სიამაყის გრძნობით გამოდიოდნენ ამ შეხვედრაზე საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგატები. ისინი მსმენელებს უამბობდნენ იმ დიდ მიღწევათა შესახებ, რასაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში და მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებში, მადლობას უხდიდნენ საბჭოთა მთავრობას და კომუნისტურ პარტიას, რომელმაც ქალს მისცა ნიჭის გამოვლინებისა და გაფურჩქვნის საშუალება. ჩვენ ქალებს ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ მოხდენილად შეათავსონ საზოგადოებრივი მუშაობა ოჯახურ საქმიანობასთან. ამას ხელს უწყობს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელიც ჩვენში ტარდება ქალთა შრომის მოწესრიგების მიზნით.

მსოფლიო ქალთა შეხვედრის მონაწილენი—სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელნი განსაკუთრებული ინტერესით ეცნობოდნენ ქალის ცხოვრების და მუშაობის პირობებს საბჭოთა კავშირში.

სემინარებზე გაცხოველებული კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელიც საფუძვლად დაედება ქალთა ორგანიზაციის შემდგომ მუშაობას. შეხვედრის ბოლო სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც მოცემულია ჩატარებული მუშაობის შედეგები და დასახულია ქალთა მოძრაობის შემდგომი ამოცანები. მიმართვაში 10 ქვეყნის კომიტეტის კონფერენციის სახელზე წამოყენებულია მოთხოვნა განიარაღების შესახებ. «ბოლო უნდა მოეღოს ცივ ომსა და ყველა სადავო საკითხები მშვიდობიანი გზით გადაწყდეს,—მოითხოვენ ყველა ქვეყნისს ქალები. ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება ქალთა საერთაშორისო კავშირის ბიუროს ჩამოყალიბების შესახებ.

შეხვედრისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა დანიის საზოგადოება, პრესა, რადიო, ტელეხედვა შეხვედრის მიმდინარეობის ბოლო დღეს დანიის მეფემ ნება დართო ქალთა მსოფლიო შეხვედრის აღსანიშნავად მოწყობილიყო ტრადიციული სვლა ჩირაღდნებით კოპენჰაგენის ქუჩებში. ეს იყო შესანიშნავი სანახაობა. ისმოდა სიმღერები სხვადასხვა ჰანგზე, სხვადასხვა ენაზე.

პროფესორი **სოფიო ბუაჩიძე**,
შეხვედრის მონაწილე.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია პლენარულ სხდომაზე

# შეხვედრები კოპენჰაგენში



უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნასრედინოვა ჩინელ დელეგატებს შორის



სვლა ჩირაღდნებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სემინარი მშობლებისათვის

# წიგნი და ბავშვები

ბავშვობაში წიგნისადმი აღძრული ინტერესი ადამიანს მეტწილად მთელს ცხოვრებაში გაჰყვება. ამიტომ მშობლებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ პატარაობიდანვე შეაყვარონ ბავშვს წიგნი.

ოჯახში, ჩვეულებრივ, ბავშვს წიგნს სკოლაში შეყვანამდე უკითხავენ. წიგნით ბავშვი ეცნობა გარესამყაროს, ბუნებას, ცხოველებს. ხმამაღალი კითხვით, პატარა ლექსების დაზეპირებით, ნახატების დათვალიერებით ბავშვის სიტყვიერი მარაგიც იზრდება.

კითხვაში ბავშვის ხელმძღვანელობა მასწავლებლისა და სკოლის ბიბლიოთეკარის გარდა მშობლების საქმეცაა. არის ისეთი ოჯახებიც, სადაც მშობლებს უყვართ წიგნი, ბევრსაც კითხულობენ, კარგი ბიბლიოთეკაც აქვთ, მაგრამ სრულიად არ აინტერესებთ, რას კითხულობენ მათი ბავშვები. ასეთ ოჯახებში ბავშვები ან სულ არაფერს არ კითხულობენ, ანდა კითხულობენ განურჩევლად ყოველგვარ წიგნს. ასეთ კითხვას, რა თქმა უნდა, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

ზოგიერთ მშობელს ჰგონია, რომ კითხვა ხელს უშლის ბავშვს სწავლაში და ნებას აძლევს იკითხოს მხოლოდ სასწავლო წიგნები. ასეთი მშობლები არ ითვალისწინებენ, რომ დამატებითი კითხვა, თუ კი ეს სწორადაა დაყენებული, არა თუ ხელს არ უშლის, პირიქით, ეხმარება ბავშვს უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეითვისოს სასკოლო პროგრამა.

ბავშვს ადრეულ ასაკიდანვე უნდა ჰქონდეს პირადი ბიბლიოთეკა. იგი წიგნებს თანდათანობით უნდა იძენდეს, შერჩევით, იმის მიხედვით, თუ რა აინტერესებს და რომელი წიგნი იქნება მისთვის უფრო გასაგები. ბავშვმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რა წიგნებია მის პირად ბიბლიოთეკაში.

მეოთხე-მეხუთე კლასიდან მას შეუძლია აწარმოოს წიგნების აღრიცხვა განსაკუთრებულ რვეულში. ამასთან უნდა იწერდეს არა მარტო წიგნის სათაურს, არამედ ავტორისა და მხატვრის გვარს, წიგნის გამოცემის თარიღს, გვერდების რაოდენობას.

მეორე კლასის მოსწავლე უკვე დამოუკიდებლად იწყებს კითხვას. ამიტომ მშობლებმა უნდა იზრუნონ, რომ ბავშვი ამ დროს ბიბლიოთეკაში ჩაეწეროს. სასკოლო ბიბლიოთეკა ბავშვს ხელმძღვანელობას უწევს, ეხმარება წიგნის შერჩევაში, იმაში, რომ იგი ასაკისათვის შესაფერის წიგნებს კითხულობდეს. ბიბლიოთეკარი დაკავშირებულია მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებელთან. მან ყოველთვის იცის, რას კითხულობენ ბავშვები და შეუძლია რჩევა მისცეს მშობლებს, თუ როგორ დააინტერესონ ბავშვი წიგნით და როგორ შეარჩიონ მისთვის საჭირო ლიტერატურა.

გარდა ამისა, ბავშვებს შეუძლიათ ჩაეწერონ რაიონულ ან საქალაქო ბიბლიოთეკაშიც. აქ მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ ბავშვი პასიური მკითხველი არ იყოს, მონაწილეობდეს იმ ღონისძიებებში, რომლებსაც ბიბლიოთეკა ატარებს, მკითხველთა კონფერენციებში, მწერლებთან შეხვედრებში; ხანდახან ბიბლიოთეკა იწვევს მშობლებსაც, რათა გააცნოს მათ, თუ რას და როგორ უნდა კითხულობდნენ ბავშვები. მშობლები არ უნდა დაელოდონ, ვიდრე მათ მიიწვევენ ბიბლიოთეკაში. უნდა დაინტერესდნენ და გადაათვალიერონ ბავშვის მიერ წაკითხული წიგნების სია.

ბავშვი უნდა შევაჩვიოთ ფაქიზად მოეპყრას წიგნს. არ შეეხოს მას ჭუჭყიანი ხელით, არ იკითხოს წამოწოლილმა, სუსტ სინათლეზე, რაც იწვევს მხედველობის დაზიანებას.

არიან ბავშვები, რომლებიც თითქოს ბევრს კითხულობენ, მაგრამ წაკითხულის შინაარსის მოყოლას ვერ ახერხებენ. ისინი კითხულობენ ადგილ-ადგილ, არ უფიქრდებიან წაკითხულის შინაარსს, არ ესმით მწერლის ნააზრევი. ამ შემთხვევაში სასარგებლოა ბავშვებთან ერთად ხმამაღალი კითხვა, საუბარი წიგნებზე, როგორც კითხვის დროს, ისე კითხვის შემდეგ, ილუსტრაციების გულდასმით დათვალიერება.

ბევრ ოჯახში სხვადასხვა ასაკის ბავშვებია და ამიტომ გასათვალისწინებელია მათი წლოვანება. ასე, მაგალითად, ხმამაღალი კითხვა შეიძლება როგორც I—II კლასელი, ისე VI—VII კლასელი ბავშვებისათვის, ხოლო წაკითხულის ვრცლად ჩაწერა ბავშვმა 11—13 წლიდან უნდა დაიწყოს.

სხვადასხვანაირი უნდა იყოს წიგნზე საუბრის ხასიათიც, თუ უმცროსკლასელებთან ეს საუბარი ძირითადად წიგნის შინაარსს შეეხება, უფროსკლასელებთან შეიძლება დავსვათ ისეთი კითხვები, რომლებიც გამოიწვევენ აზრთა გაცვლა-გამოცვლას და დააფიქრებენ ბავშვს. ბავშვის წიგნით დაინტერესებას და დაკვირვებულ კითხვას დიდად უწყობს ხელს ლიტერატურული მუზეუმის მასალები, რადიო, კინო, თეატრი და სხვა.

სისტემატურ ხმამაღალ კითხვას ბავშვებისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს, რადგან ბავშვები უფრო უკეთ ერკვევიან წიგნის შინაარსში: დიდ ყურადღებას აქცევენ ცალკეულ ეპიზოდებს, ბუნების აღწერას, მოქმედი პირების დახასიათებას. გარდა ამისა, ხმამაღალი კითხვა ეხმარება ბავშვს უკეთ შეიგრძნოს ნაწარმოების ენა, უვითარებს დიქციას.

ხმამაღალი კითხვა სასარგებლოა არა მარტო სკოლამდელთათვის, არამედ ყველა მოსწავლისთვის, უფროსკლასელთა ჩათვლით. ოღონდ განსხვავება ის არის, რომ თუ სკოლამდელები და უმცროსკლასელები უმთავრესად მშობლების კითხვას უსმენენ, უფროსი ასაკის ბავშვებს შეუძლიათ თვითონვე წაუკითხონ ხმამაღლა მშობლებსა და თავის უმცროს დაძმებს.

როცა უფროსის კითხვას ისმენს, ბავშვი ჰბაძავს მას, ითვისებს და იუმჯობესებს ინტონაციას, ეჩვევა პაუზებს.

როცა ბავშვი წიგნს თავისთვის კითხულობს, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ როგორ კითხულობს. სულ რამდენიმე შეკითხვაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ, რამდენად დაკვირვებით კითხულობს ბავშვი და ესმის თუ არა წაკითხული.

სასარგებლოა ბავშვთან გასაუბრება წიგნის წაკითხვის შემდეგ. როცა ბავშვი წიგნის შინაარსს კარგად დაიმახსოვრებს, მას უთუოდ აღეძვრება შთაბეჭდილების გაზიარების სურვილი. ასეთი სურვილი ბავშვს ყოველთვის გაუჩნდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ წიგნი საინტერესოა.

გასაუბრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კლასიკოსთა ნაწარმოებების კითხვის დროს. ქართული კლასიკური ლიტერატურის აღმზრდელობითი მნიშვნელობა ძალიან დიდია, მაგრამ ბავშვებს ხანდახან უჭირთ დამოუკიდებლად გაერკვნენ იმ ნაწარმოებებში, რომლებიც მათთვის უცხო ყოფა-ცხოვრებას, შორეულ ეპოქას ასახავენ. ამ შემთხვევაში მეტისმეტად საჭირო და აუცილებელია გავესაუბროთ ბავშვს იმ ეპოქაზე, წავუკითხოთ მას წიგნის წინასიტყვაობა და შენიშვნები. ძალიან კარგია, თუ ლიტერატურას დავუკავშირებთ ხელოვნების ისეთ სახეს, როგორიცაა ფერწერა. მაგალითად, ნიკო ლომოურის, სოფრომ მგალობლიშვილის, ეკატერინე გაბაშვილისა და სხვა მწერლების ნაწარმოებების კითხვისას ბავშვს უნდა გავაცნოთ მხატვარ ალექსანდრე მრევლიშვილი ნახატები «დაბალი ღობე», «სოფლის კანცელარიასთან» და სხვა.

სასარგებლოა აგრეთვე კლასიკოს მწერალთა სახლ-მუზეუმების დათვალიერება, ასეთი მუზეუმები ხომ ჩვენში ძალიან ბევრია: ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოსა და ყვარელში, აკაკი წერეთლისა—სხვიტორში, ალექსანდრე ყაზბეგისა—ყაზბეგში და სხვა

კარგია თუ ბავშვს გავესაუბრებით არა მარტო ამა თუ იმ მწერლის ერთ ნაწარმოებზე, არამედ მის მთელ შემოქმედებაზეც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წიგნზე საუბრის ხასიათი და შინაარსი დამოკიდებულია ბავშვის განვითარების დონეზე, მის ინტერესებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წაკითხულის შესახებ ჩანაწერს, რადგან ბავშვი უფრო ღრმად უფიქრდება და საფუძვლიანად ითვისებს წიგნის შინაარსს. რა მოეწონა, რა არ მოეწონა და რატომ? აი ის მთავარი კითხვები, რომლებიც ბავშვებს აღეძვრის ხოლმე.

ჩაწერის ყველაზე კარგი ფორმაა დღიური. პატარებს ასეთი დღიურის დამოუკიდებლად წარმოება, რა თქმა უნდა, გაუჭირდებათ. ამიტომ ეს მშობლებმა უნდა გააკეთონ: ჩასწერონ დღიურში ავტორის გვარი და წიგნის სახელწოდება, ბავშვის შთაბეჭდილება.

სასარგებლოა თუ მასწავლებლის და ბიბლიოთეკარის რჩევით ბავშვი შეადგენს კითხვის ინდივიდუალურ გეგმას. ეს კი საჭიროა განსაკუთრებით მაშინ, თუ ბავშვი გატაცებულია, მაგალითად, ისტორიით, გეოგრაფიით, ტექნიკით და სხვა. კითხვის გეგმა ყოველთვის მრავალფეროვანი უნდა იყოს, მასში აუცილებლად უნდა შევიდეს როგორც მხატვრული, ისე მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა. თავისთავად ცხადია, რომ თვით მშობლები კარგად უნდა იცნობდნენ როგორც თანამედროვე, ისე გასული საუკუნის საბავშვო ლიტერატურას, საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამებს.

კითხვის სწორი ხელმძღვანელობა, ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა სერიოზულ დახმარებას გაუწევს ბავშვს გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებასა და კულტურული დონის ამაღლებაში.

**ა. ონელი**

## შეიძლება თუ არა ხვრინვისაგან განკურნება

ასეთი კითხვა დაგვისვა ერთმა ავადმყოფმა მიღების დროს. ის, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა კაცი, ჩიოდა, რომ მთელი ოჯახი გააწამა თავისი ხმამაღალი ხვრინვით, რომელიც ორი თვის წინათ დასჩემდა გრიპით ავადმყოფობის შემდეგ.

გასინჯვისას ავადმყოფს აღმოაჩნდა მნიშვნელოვნად გადიდებული ნუშისებური ჯირკვალი, ამავე დროს, ხახის პირის თანდაყოლილი სივიწროვე. მკურნალობის შედეგად ხახის სიდიდე შემცირდა და ავადმყოფმა სიხარულით გვაცნობა, რომ განიკურნა ამ შემაწუხებელი სენისაგან.

ხვრინვა მეტ-ნაკლები სიძლიერის დამახასიათებელი ხმაურია, რომელიც თან ახლავს ადამიანის სუნთქვის ორგანოების მოძრაობას პირღია ძილის დროს. ის წარმოიშვება რბილი სასის რხევისას, როდესაც ჰაერის ნაკადი გადის მასში. უფრო მეტად ხვრინავენ ის ადამიანები, რომლებსაც დახშული აქვთ ცხვირის სასუნთქი მილები ცხვირის რაიმე დაავადების გამო ან ზოგჯერ ცხვირის ლორწოვანი ღრუს უმნიშვნელო გაჟღენთვის დროს, რომელიც ძლიერდება მწოლიარე მდგომარეობაში თავის ტვინში სისხლის მოწოლის შედეგად.

ხვრინვა განსაკუთრებით ძლიერდება, მაშინ, როდესაც ადამიანს პირაღმა სძინავს, რადგან ლორწოვანი გარსი ცხვირის ორივე ღრუში ჩამოედინება და მთლიანად ახშობს ცხვირით სუნთქვას, გვერდზე წოლისას ლორწოვანებით იჟღინთება ცხვირის მხოლოდ ის მხარე, რომელზედაც წევს მძინარე ადამიანი. ცხვირის მეორე ნახევარი თავისუფალია და ცხვირში სუნთქვა არ წყდება, ამიტომ ხვრინვა არ წარმოიშვება ან ნაკლებ ხმაურიანია.

ზოგჯერ ბავშვებიც ხვრინავენ, უფრო ხშირად ეს დაკავშირებულია ცხვირ-ხახაში ადენოიდურ ხორცმეტებთან ან ნუშისებური ჯირკვლის მკვეთრ გადიდებასთან.

ხვრინვა თვით ავადმყოფს ნაკლებად აწუხებს, მაგრამ დიდ უსიამოვნებას აყენებს მის გარშემო მყოფ ადამიანებს. დამკვიდრდა ისეთი აზრი, რომ ამ ნაკლთან ბრძოლა შეუძლებელია და არ ღირს თავის შეწუხება. მაგრამ მართალია ეს? პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ხვრინვისაგან განთავისუფლება შეიძლება. ამისათვის აუცილებელია ცხვირისმიერი სუნთქვის აღდგენა. განსაკუთრებით ადვილად იკურნებიან ამისაგან ბავშვები. ხორცმეტების მოშორება აძლევს საშუალებას მათ ისუნთქონ ცხვირით. გამოცდილი ლარინგოლოგი ყოველთვის განსაზღვრავს ძილის დროს გაძნელებული სუნთქვის მიზეზს და დაგინიშნავთ მკურნალობას ამა თუ იმ მეთოდით.

**ექიმი მ. პუზრინი**

# მზის დაკვრა და სითბური გადახურება

მზის დაკვრა ან სითბური გადახურება ცხელ და უქარო ამინდში შეიძლება მოუვიდეთ ადამიანებს, რომლებიც ძნელად იტანენ სიცხეს ან თბილად იცვამენ და თავზე არაფერი არ ახურავთ.

მზის დაკვრას იწვევს თავის ძლიერი გადახურება მზის სხივებით. შეუმოსავი თავი მეტისმეტად ცხელდება და თავის ტვინს მოაწვება სისხლი, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში კი ხდება სისხლის პატარ-პატარა ჩაქცევები და ტვინის ნივთიერების გამოდენა.

მზის დაკვრას იწვევს სიცხეში ხანგრძლივი სიარული, მზეზე ძილი ან უქარო ამინდში ჰაერის დიდი სინოტივე!

სითბური გადახურების მიზეზია გარემოს მეტისმეტად მაღალი ტემპერატურით სხეულის გათბობა და ორგანიზმის თერმორეგულაციის დარღვევა.

სითბოს დიდი რაოდენობით დაგროვების შედეგად შეიძლება მოხდეს სითბოს არასაკმაო გაცემა. მაგალითად, მძიმე ფიზიკური მუშაობა ადიდებს სითბოს გამომუშავებას 4—5-ჯერ და თუ ტანსაცმელი სქელია, იგი ხელს უშლის სითბოს გამოყოფას. დიდი სინოტივის და ვენტილაციის უქონლობის პირობებში ხდება ორგანიზმის სწრაფი გადახურება.

მზის დაკვრა და სითბური გადახურება უფრო ხშირად ემართება ადამიანს, რომელიც არ არის, მიჩვეული მაღალ ტემპერატურას, დაიღალა ხანგრძლივი, დამქანცველი სიარულით ან დასუსტებულია რაიმე ქრონიკული დაავადებით.

ზედმეტი სიმსუქნე, კუჭის გადატვირთვა, სიმთვრალე ხელს უწყობს დაკვრის წარმოშობას.

ცნობილია, რომ მსუბუქი, ღია ფერის ტანსაცმელი არეკლავს მზის სხივებს, ხოლო მუქი და სქელი პირიქით, შთანთქავს, ცხელდება და არ ატარებს ჰაერს. გაოფლიანებული სქელი ტანსაცმელი აკავებს ნესტს და ქმნის გადიდებულ სინოტივეს სხეულის მომცველ ჰაერში.

გადახურების პირველი ნიშნების შეტყობა ადვილია. ადამიანი კარგავს ფერს, თავბრუ ეხვევა, სულ ეძინება, ცუდ ხასიათზეა, ბარბაცებს; მისი მეტყველება დაულაგებელია. შემდეგ ეწყება სულის ხუთვა და მაჯისცემა აჩქარებული აქვს. თუ ამ დროს ის ჩრდილში დაისვენებს 30—40 წუთით, შესძლებს განაახლოს მუშაობა. თუ ყველაფერი ეს დროულად არ გაკეთდა, მაშინ დაკვრის ნიშნები იზრდება: თავის ტკივილი და თავბრუსხვევა მატულობს, ყურები უშხუის, თვალთ უბნელდება, მოეშვება, სუსტდება, აწუხებს წყურვილი და სიცხე. ავადმყოფის მშრალი და ცხელი კანი ზოგჯერ იფარება წებოვანი ოფლით, სახე წითლდება და სივდება, სიცხე მნიშვნელოვნად ეწევა, პულსი უფრო აჩქარებულია, სუნთქვა—ზერელე და სუსტია. ზოგჯერ მზის დაკვრა იწყება სრულიად მოულოდნელად; მაშინ ადამიანი წამსვე კარგავს გრძნობას და ეცემა.

როგორ აღმოვუჩინოთ ავადმყოფს პირველი დახმარება?

იგი უნდა გადაიყვანოთ გრილ ადგილას, დააწვინოთ ჩრდილში, წამოუწიოთ მკერდი და თავი, შეუხსნათ საკინძი და რაიმეთი აუნიავოთ. თუ ავადმყოფი გრძნობაზეა, დაალევინეთ რაც შეიძლება მეტი მარილიანი წყალი.

სუნთქვის აღსადგენად ავადმყოფს სახეზე ურტყამენ ცივი წყლით დასველებულ პირსახოცს ან ცხვირსახოცს, აყნოსინებენ ნიშადურის სპირტს და ენერგიულად უზელენ ტანს ოდეკოლონით ან კონიაკით. გულის მუშაობის გასაუმჯობესებლად რეკომენდირებულია მაგარი ჩაის ან ყავის დალევა.

თუ დაზარალებული გრძნობადაკარგულია, მას უკეთებენ ხელოვნურ სუნთქვას და სასწრაფოდ იძახებენ ექიმს.

**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ი. იუდინი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# სოფიო-დედა

ეს იყო თექვსმეტი წლის წინათ, სამამულო ომის წლებში. საქართველოდან გაგზავნილი მასწავლებლები საინგილოში ჩავედით სამუშაოდ.

ჯერ ისევ სკოლის ეზოში, ხეების ჩრდილქვეშ ვისხედით, როდესაც ეზოში ღრმადმოხუცი ქალი შემოვიდა.

— სოფიო მობრძანდება, სოფიო-დედა,— აჩურჩულდნენ ინგილო ქალები და მოხუცს ეზოში შეეგებნენ.

— სოფიო მასწავლებელი, ჩვენი სკოლის პედსაბჭოს საპატიო წევრი!—გაგვაცვნეს ახალჩასულებს იგი.

ჩვენ მაშინ არ ვიცოდით, ვინ იყო ეს დარბაისელი და სანდომიანი სახის მოხუცი. მერე ყველაფერი გავიგეთ:

... სოფიო კონჭოშვილი თბილისის მოწინავე ინტელიგენციის წრეში აღიზარდა, შემდეგ საინგილოში გათხოვდა, სოფელ კახში, მასწავლებელ ნიკოლოზ ყულოშვილზე. ოცდაერთი წლის ასაკში დაქვრივდა და, მიუხედავად ნათესავების თხოვნისა, საცხოვრებლად თბილისში დაბრუნებულიყო, სამუდამოდ საინგილოში დარჩენა და ინგილო ხალხის დუხჭირი ცხოვრების გაზიარება არჩია. არც ის ვიცოდით, რომ იგი 50 წელიწადი ემსახურებოდა ინგილო ხალხს უანგაროდ, ზრდიდა ინგილო გოგონებს, დედობრივი მზრუნველობით დასტრიალებდა თავს, სკოლის კედლებში დაწყებულ აღმზრდელობით მუშაობას აგრძელებდა თავის საკუთარ ოჯახში, აგროვებდა საღამოობით მოზრდილ ქალებს, ასწავლიდა წერა-კითხვას, ჭრა-კერვას, ოქრომკედს, მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, ბავშვის აღზრდას, ავადმყოფის მოვლას, უკითხავდა იმდროინდელ პროგრესულ ჟურნალ-გაზეთებს.

როცა მუსავატელებმა გადაწყვიტეს გაენადგურებიათ ინგილოები, ხალხმა სოფიო ყულოშვილი უბნის კომისრად აირჩია. მან საოცარი უნარი და გამჭრიახობა გამოიჩინა: დაამშვიდა ორივე მხარე და გადაარჩინა ინგილოები განადგურებას.

სოფიო ყულოშვილი ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო.

მის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ რევოლუციონერები, რომლებიც არაერთხელ გადაურჩენია მას დაპატიმრებისაგან.

როცა ახლო გავიცანით, ბევრი საინტერესო ამბავი გვიამბო სოფიომ თავისი ცხოვრებიდან.

სოფიო კარგად იცნობდა იაკობ გოგებაშვილს, ეკატერინე გაბაშვილს, ილია ჭავჭავაძეს. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა მათთან აღზრდის საკითხებზე. თბილისში ჩამოსული უეჭველად მოინახულებდა მათ და სათანადო რჩევა-დარიგებას იღებდა.

ერთხელ თბილისში ჩამოსული ეკატერინე გაბაშვილს შეხვდა ქუჩაში, ტკბილად მიესალმნენ ერთიმეორეს, ერთმანეთის ამბავი მოიკითხეს. შემდეგ ილიასთან წავიდნენ.

სადარბაზო ოთახში ილიას მეუღლე—ოლღა შეეგება სტუმრებს, სიყვარულით გადაკოცნა ორივე.

— ილია ჯერ არ გამოსულა სამუშაო ოთახიდან. მთელი ღამე გაათენა მუშაობაში. დაბრძანდით, დაისვენეთ.—უთხრა მოსულებს.

მალე ილიაც გამოვიდა—დაღლილი სახითა და უძილობისაგან ჩალურჯებული თვალებით. როცა მოსულები იცნო, გაიღიმა, მიესალმა და მხიარულად მიმართა სოფიოს:

— როგორ ჩამოდი ჩვენი ნებართვის გარეშე, შენ ხომ გადასახლებული გვყავხარ იქ?

სოფიოს ეკატერინე მიეშველა:

— წელიწადში ერთხელ ნებადართულია, ბატონო ილია. მითუმეტეს, თუ განსაკუთრებული საკითხი აქვს გადასაწყვეტი და ჩვენ პასუხს ვუგვიანებთ...

ილია დაჯდა.

— იმ საკითხზე გეახლათ, ბატონო ილია,—განაგრძო ეკატერინემ,—ამას წინათ რომ გესაუბრეთ. წერილიც ხომ წაგიკითხეთ? სოფიოს აინტერესებს ინგილო გოგონების აღზრდის ზოგი მტკივნეული საკითხი.

— ალბათ, ძალზე მძიმე პირობებია მუშაობისათვის, არა?

სოფიომ ენა ამოიდგა:

— ია და ვარდით მოფენილი გზა, რა თქმა უნდა, არ დამხვედრია, ბატონო ილია. დამფრთხალ, აწიოკებულ, ნაწამებ ხალხს საკუთარი ლანდიც კი აშინებს. თუ ძველად მათ ბატონყმობა არ იცოდნენ, თუ ისინი აზატნი იყვნენ, როგორც სანაპირო ქვეყნის დამცველნი, დღეს მონებად არიან ქცეულნი, ილისუს*) ბეგები სულს ხდიან გადასახადებით საინგილოს მცხოვრებთ. დღესაც იშვიათი არ არის, როცა მოთარეშეები აიკლებენ ინგილოთა სახლკარს და ქალიან-კაციანად გაირეკავენ მთებში. ხალხი ებრძვის ამ ბოროტებას, მათ ჰყავთ მოწინავე კაცები, მოთავეები, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში, ამ საქმეს არაფერი ეშველება მანამ, სანამ სათავეშივე არ ჩაიხშობა ბოროტება, სანამ თვითონ მთავრობა არ მიიღებს გადამწყვეტ ზომებს მის საწინააღმდეგოდ, ამის შესახებ წინათაც მქონდა თქვენთან საუბარი. ქალბატონ ეკატერინესთვისაც მითქვამს ეს.

— ამისთვის იყო, რომ ასე გამიჭირდა გოგონების მიყვანა სკოლაში,—განაგრძობდა სოფიო.— მშობლები ვერ იმეტებდნენ, უკეთ, ეშინოდათ მათი სკოლაში გაშვება. მაგრამ რის ვაი-ვაგლახით მაინც შევძელი გოგონების მოგროვება. გავხადე შარვალ-მუქასარი, მაიზარ-წინსაფარი (ინგილოური ტანსაცმელი) და ფორმის კაბები ჩავაცვი. მშობლები, რა თქმა უნდა, უბრძოლველად არ შეხვედრიან ამ ამბავს. ისინი ყოველ ნაბიჯზე მიწევდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ არც მე ვუთმობდი. დღეს კი კმაყოფილნი არიან და მადლობას უთვლიან ქართველ ხალხს დახმარებისათვის. ახლა ორმოცდაათამდე გოგონა მყავს სკოლაში. მე მათ ვასწავლი ქართულ და რუსულ ენებს, ანგარიშს, ხელსაქმეს—ჭრა-კერვას, ქარგვას, ოქრომკედს,—

სოფიო გაჩუმდა, დაფიქრდა, თითქოს რაღაცა აქვს სათქმელი და ვერ ბედავსო.

— დიახ, პატივცემულო ილია,—განაგრძო ისევ,—მე ვცდილობ აღვზარდო ისინი კარგ ცოლებად, კარგ დედებად, ასე ვფიქრობ, ასე...

ილია წამოდგა, ბოლთის ცემა დაიწყო ოთახში, სოფიოს პირდაპირ დადგა, თვალებში შეხედა და ნაწყენი კილოთი უთხრა:

— აი, აქამდე ყველაფერი კარგი იყო, მისასალმებელი, საამაყო. აქ კი, ნება მომეცით, ჩემო კარგო მასწავლებელო, შეგნიშნოთ, რომ თქვენ ცდებით, დიახ, ცდებით... ქალი განა მარტო იმისთვის არის გაჩენილი, რომ მხოლოდ კარგი ცოლი იყოს, ანდა კარგი დედა?... განა სასაცილო არ იქნება, რომ მამაკაცი ვზარდოთ მხოლოდ საკარგქმროდ საკარგმამოდ? აბა დაფიქრდით!.. რატომ არ უნდა წარვმართოთ ქალის აღზრდა იმ გზით, რა გზითაც მიდის მამაკაცის აღზრდა? არა, ასე არ მსჯელობს დღეს პროგრესული კაცობრიობა. ის, რაც ორი და სამი ათეული წლის წინათ იყო, ისტორიას ჩაბარდა.

ახლა თქვენი მეცადინეობა უნდა მიაქციოთ იქითკენ, რომ ქალს გონება გაუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისათვის, აღუფრთოვანოთ გული კაცობრიულის, მოქალაქეობრივის ინტერესებისათვის. ასეთის აზრითა და რწმენით აღზრდილი, გონებაგახსნილი ქალი გაუთანასწორდება მამაკაცს და ადვილად გაიგებს მეუღლისა და დედის მოვალეობას.

ამაშია შენი ამოცანა, შენი რაინდული სულის დანიშნულება, ჩემო კარგო მასწავლებელო...

დიდხანს ლაპარაკობდა ილია ქალის როლის, ქალის დანიშნულების შესახებ მომავალ საზოგადოებაში. იგი ქუხდა, ბობოქრობდა, იწოდა... ქალები ანთებული თვალებით შესცქეროდნენ მას... ბოლოს გაჩუმდა, მობრუნდა და მოწყვეტით ჩაეშვა სავარძელში.*)

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ ლაგოხედ-კახის გზატკეცილზე, კაკლის ხეივანში ეტლი მიჰქროდა, შიგ ჩიხტაკოპიანი ახალგაზრდა ქალი იჯდა. იგი ღრმად ჩაფიქრებული ჩანდა.

— რამდენი რამა მაქვს კიდევ გასაკეთებელი, რამდენი რამ, რომ ილიას დარიგების მიხედვით გარდავქმნა ჩემი მუშაობა, ილიას დარიგების მიხედვით აღვზარდო ინგილო გოგოები!..

**ალექსანდრა ჩხენკელი**

*) სოფელი.. ძველი საინგილოს სულთნების რეზიდენცია.

*) სიტყვები ამოღებულია ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ-მეთოდური წერილებიდან.

# ევა ატომის ეპოქაში

(რეპორტაჟი მოდების სალონიდან)

დ ი ქ ტ ო რ ი — მეგობრებო! მოგეხსენებათ, რომ ყველაზე სწრაფად ადამიანებს შორის ვრცელდება ჭორი, გრიპი და მოდა. შესაძლებელია ჭორის ჩახშობა, გრიპის «კალცექსით» შეჩერება, მაგრამ მოდას ჩინური კედელიც ვერ დააკავებს. მისი ტონის მიმცემი ქალები არიან და მოდაც მათ ხასიათს წააგავს: განუწყვეტლივ იცვლება. კაცობრიობის ისტორიას ახსოვს ერთადერთი ქალი, რომელიც ჩაცმა-დახურვას არ მისდევდა: ეს იყო ევა. ხშირად, შესაძლებელია, სიჩქარეში უკუღმა ჩაცმული კაბა შეიქნეს ექსტრა ფასონის მტკიცე საფუძველი.

ახლა ჩვენ წარმოგიდგენთ რამდენიმე ნიმუშს სეზონის სიახლეებიდან.

ა რ ტ ი კ უ ლ ი 119; (ჯაზის ნელი აკომპანიმენტის თანხლებით შემოდის ახალგაზრდა ქალი მეტისმეტად ვიწრო კაბაში). თქვენს წინაშეა ორიდან ხუთ საათამდე ჩასაცმელი კაბა «ფიგარო». იგი გაოცებთ სისადავითა და ეკონომიით. ხედავთ, როგორ უჭირს პატრონს გადაადგილება?—კაბა იცავს მას ცხოვრებაში გაუთვალისწინებელი ნაბიჯების გადადგმისაგან. რეკომენდებული არაა ამ კაბით კიბეებზე ასვლა ან სკამზე დაჯდომა.

მკერდი რატომ აქვს ასე შეჭრილი? ეს მეტყველებს პატრონის გულღიობაზე. თანაც ამით მიიღწევა 25 სმ ქსოვილის ეკონომია.

გთხოვთ დააკვირდეთ ფეხსაცმლის მოყვანილობას. ალბათ, ლეგენდარულ აქილევსსაც არ ჰქონია ასეთი სუსტი ქუსლი. ეს მამაკაცებს უბიძგებს ხელკავისაკენ, რათა ნაზი არსება დაიცვან ფეხის გადაბრუნებისაგან.

გთხოვთ თქვენი დაჟინებული მზერა მოსწყვიტოთ სხეულის ქვედა ნაწილს და აინაცვლოთ თავზე, ის დაულაგებლობა, რაც ამ სფეროში შეიმჩნევა, დაუდევრობის შედეგი კი არაა, არამედ დიდი შრომითაა მიღწეული. უწესრიგოდ ჩამოშლილი თმები სავსებით მალავს შუბლს. ის ხომ ამ ასაკისათვის გამოუსადეგარი ნაკვთია?!

არტიკული 87. (შემოდის შუახნის, ჭრელად ჩაცმული ქალი) გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ სამოსი ბალზაკის ასაკის მანდილოსნებისათვის, სახელწოდებით «მშვიდობით ახალგაზრდობავ!» გაოცებთ ფერთა ჰარმონია. იგი სასიამოვნოდ მოქმედებს დალტონიზმით დაავადებულთა მხედველობაზეც კი. რაც მთავარია, იძლევა ჯანსაღ განწყობილებას—პატრონს ოთხი წლითა და სამი თვით აახალგაზრდავებს. პატრონი უბრუნდება განვლილ ასაკს და საამო ილუზიებს უქმნის მისი ცხოვრების თანამგზავრს (იგულისხმება, რომ 35 წლის ასაკში მან უკვე მოახერხა გაათხოვება).



რა დანიშნულება აქვს ქვედა კაბის ქოლგისებრ ფორმას? იგი მალავს ოდნავ შესქელებული ფიგურის კონტურებს და ასრულებს პარაშუტის ფუნქციას: პატრონს ტანს კოხტად აჭერინებს.

ხედავთ, ამ შესანიშნავ ანსამბლს როგორ ამთავრებს ბანტი ცხენის კუდივით დაწნულ თმაზე? ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ ბანტი მხოლოდ პიონერების საკუთრება არაა.

ასეთი მორთულობით შეიძლება გამოცხადება ცირკშიც და პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზეც, სადაც ბავშვის უმსგავსო საქციელზე იქნება მსჯელობა (ქალი გადის).

მეგობრებო! გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ქალი მთელ ცხოვრებას ატარებს მაღაზიებსა და საპარიკმახეროებში, იშვიათად სახლშიაც წააწყდებით. გვსურს წარმოგიდგინოთ არტიკული 46, სახელწოდებით „ოჯახური იდილია". (შემოდის სასტუმროდ გამოწყობილი ქალი მოდების ჟურნალით). ჩვენს წინაა სადიასახლისო მოკაზმულობა. ყველაფერი გაანგარიშებულია იმისათვის, რათა დიასახლისმა თავისუფლად დაისვენოს (ქალი ჯდება და ჟურნალს ათვალიერებს).

დააკვირდით ამკლავებულ სახელოებს. ეს დეტალი ითვალისწინებს მეზობელთან ჩხუბისათვის მზადყოფნას.

ამჩნევთ რეზინის ხელთათმანებს? ხელების დაბანისას აუცილებელია მათი ჩამოცმა, რათა ფრჩხილებს ყაყაჩოსფერი ლაქი არ მოსცილდეს.

თქვენ კითხულობთ: სამზარეულოსთვის თუ ივარგებს ყოველივე ეს? კი მაგრამ, რა [illegible] დათ სამზარეულოში? სადილს გააკეთებს [illegible] დამთილი, ქვაბებს დახეხავს მული. თქვენ იჯექით ფეხი-ფეხზე გადადებული და ასე კოხტად დახვდით ქმარს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გულს აიცრუებს თქვენზე და გაგცვლით სხვაზე.

ასეთი მოკაზმულობა კარგად მოქმედებს ქმრის და, განსაკუთრებით, სტუმრის განწყობაზე, იწვევს სიმპატიას (ქალი გადის).

დასასრულ, ჩვენ გვსურს წარმოგიდგინოთ მოდის უკანასკნელი სიტყვა, რომელიც ქალთა საუკუნოებრივი ოცნების ფრთაშესხმაა.

არტიკული III, კაბა—წამოსასხამი «ევა ატომურ ეპოქაში» (შემოდის ახალგაზრდა ქალი მხოლოდ ტრუსსა და ბუსტგალტერში). რამხელა სისადავეა, რა ჰაეროვნებაა. ადამიანი დაუბრუნდა თავის პირველყოფილ ბუნებრიობას. დააკვირდით კაბის ქვედა წელს. რა გემოვნებითაა გადაწყვეტილი ირიბი ხაზები და როგორ უხდება სახეზე პატრონს. დახურული მკერდი, რაც ერთგვარ აკადემიურ ტონს აძლევს მთელ ჩაცმულობას.



როგორ, თქვენ ვერაფერს ხედავთ?—შეუძლებელია. ალბათ, შეგნებულად არიდებთ თვალს და სხვა რამეს აკვირდებით. თქვენს წინაშეა საკმაოდ სქელი, ექსტრა ხარისხის ნეილონის სამოსი. ვერ ხედავთ, პატრონს როგორ ცხელა მასში? (ქალი მარაოს იფრიალებს).

კიდევ გეეჭვებათ? ჩვენ შეგვიძლია ვთხოვოთ და თქვენს თვალწინ გაიხადოს. მაგრამ, ვფიქრობთ, უხერხული იქნება.

წარმოდგენილი სამოსის ჩაცმა რეკომენდებულია თეატრსა და დღეობებზეც (ქალი გადის). იგი თვალსაჩინოს ხდის ქალის მშვენიერებას და «ერთგვარად ალამაზებს» ჩვენს ცხოვრებას.

მეგობრებო! ამით ვამთავრებთ ჩვენს პატარა გადმოცემას. გვჯერა,— ქალის მგზნებარე ფანტაზია სასწაულებს მიაღწევს და მალე მნიშვნელობა აღარ ექნება იმას, გვაცვია თუ არა ის, რაც გვაცვია.

არლი თაყაიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნუ დაივიწყებთ ტუჩებს

ჩვეულებრივ ქალები გულმოდგინეთ უვლიან სახის კანს და ყურადღების გარეშე რჩებათ ცალკეული ნაკვთები. აბა, შეხედეთ ტუჩებს: ხომ არასასიამოვნოა, როცა ტუჩები აქერცლილია და წვრილი ნაოჭებით არის დაფარული? ულამაზოა აგრეთვე ძირს დაშვებული ტუჩის კუთხეები. შეიძლება კი ეს თავიდან ავიცილოთ. და, აი, როგორ:

დაწოლისას ან ქუჩაში გამოსვლის წინ კარგი იქნება, თუ ტუჩებზე წაისვამთ დამარბილებელ კრემს ან თეთრ პომადას. კარგად მოქმედებს აგრეთვე ორ სუფრის კოვზ გლიცერინში არეული კვერცხის გული. მოერიდეთ ძალიან ცხელ საჭმელს, ნუ კბენთ და ნუ ისველებთ ტუჩებს. დაუკვირდით, როგორ მოქმედებს ტუჩებზე პომადა, რომელსაც ხმარობთ. თუ ტუჩები საგრძნობლად აგექერცლათ, უნდა წაისვათ ასე მომზადებული მალამო: 5 გრ კაკაოს ზეთი და 10 გრ ატმის ან რაიმე სხვა მცენარეული ზეთი კარგად აურიეთ ერთმანეთში და წამოაცხელეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

ხოლო თუ ტუჩებზე ნაოჭები გაგიჩნდათ (უფრო ხშირად ნაოჭები წვრილია და ზედა ტუჩზე ჩნდება), ჩაატარეთ ასეთი მასაჟი: ორივე ხელის შუა თითებზე წაიცხეთ რომელიმე მკვებავი კრემი და წაისვით ტუჩებზე მსუბუქი, წრეობრივი მოძრაობით შუა ტუჩიდან კუთხეებამდე. ტუჩები არ დაჭიმოთ, ხოლო მასაჟის დამთავრების შემდეგ, თითის წვერები ფრთხილად დაიტყაპუნეთ ტუჩებზე. დაიმახსოვრეთ: ეს მასაჟი აუცილებელია იმ ქალებისათვის, რომლებიც ტუჩებს არ ილებავენ.

დაბლადაშვებული ტუჩების კუთხეები რომ ავწიოთ, 5-6-ჯერ ჩაატარეთ ასეთი ვარჯიში: პირი მომუწეთ და ტუჩები განზე გაზიდეთ, როგორც სიცილის დროს. ოდნავ გააღეთ პირი და ისე გაიმეორეთ ეს ვარჯიში.

კიდევ ერთი რჩევა: ტუჩების მოყვანილობა და ფორმა ადვილად შეიძლება პომადით შეცვალოთ. თუ პირი პატარა გაქვთ, პომადა სქლად უნდა წაისვათ, ტუჩების კუთხეებამდე. თუ ზემო ტუჩი გაქვთ ფართო, მაშინ მეტი პომადა ქვედაზე წაიცხეთ. თუ ტუჩები თხელი გაქვთ, პომადა ზემო ტუჩზე წაისვით მეტი, ამასთან უფრო შუაგულისაკენ.

კოსმეტოლოგი მ. პოლიკარპოვა

## ხელები ლამაზი უნდა გვქონდეს

ქალს მრავალგვარი მუშაობის შესრულება უხდება საწარმოში, დაწესებულებაში, სახლში. ხშირად ეს აფუჭებს ხელების კანს. როგორ მოვიქცეთ, რომ ხელებს შევუნარჩუნოთ სირბილე, სინაზე და სილამაზე.

უპირველეს ყოვლისა, ვეცადოთ, ხელები საპნიან თბილ წყალში ვიბანოთ. დაბანის შემდეგ ხელები კარგად უნდა გავიმშრალოთ, რომ კანი არ დასკდეს, ღამით კი უნდა წავისვათ ცხიმიანი კრემი ან სპეციალური ნარევი. მისი მომზადება სულ ადვილად შეიძლება: 50 გრ გლიცერინი უნდა ავურიოთ ერთ სუფრის კოვზ ოდეკოლონში და ორ კოვზ ნიშადურის სპირტში. თუ წარმოებაში განსაკუთრებულ პირობებში გიხდებათ ყოფნა, მაშინ უნდა ატაროთ ხელჯაგი, ხოლო შინ დაბრუნებისას გაიკეთეთ ხელებზე 5-10 წუთიანი თბილი აბაზანა და წაისვით კრემი. ოჯახის სამუშაოს შესრულება რეზინის ხელთათმანებითაც შეიძლება. თუ ეს არ გეხერხებათ, როცა საქმეს მორჩებით (განსაკუთრებით—ბოსტნეულის, ახალი კარტოფილის წმენდის შემდეგ), ხუთი წუთით ჩაუშვით ხელები თბილ წყალში, რომელშიც ჩაუმატებთ ერთ სუფრის კოვზ ძმარს.

კოსმეტოლოგი ა. გუსაროვა



## რა უნდა იცოდეს დიასახლისმა

თუ ბამბის ქსოვილის ტანსაცმელს ღვინის ლაქა დააჩნდა, გარეცხეთ ის ცხელ რძეში.

* * *

ლიმონისაგან რომ მეტი წვენი მიიღოთ, დაწურვამდე 5 წუთით ჩაუშვით ცხელ წყალში.

* * *

თუ საჭმლის ზეთი აიმღვრა და ცუდი სუნი გაუჩნდა, ასე მოიქეცით: 1 ლიტრ ზეთში ჩაყარეთ 1 ჩაის კოვზი მარილი, სამი დღის შემდეგ ზეთი სხვა ჭურჭელში გადაასხით ფრთხილად. ნალექი და მარილი ერთად დარჩება პირველი ჭურჭლის ფსკერზე.

* * *

განჯინა, სადაც პროდუქტი და პური ინახება, რეგულარულად უნდა გაწმინდოთ ძმარში დასველებული ტილოთი და ხშირად გაანიავოთ.

* * *

თუ კვერცხს ძლიერ ცეცხლზე მოხარშავთ, ცილა მაგრად მოიხარშება, გული კი თოხლო გამოჰყვება. ნელ ცეცხლზე—პირიქით, გული ექნება მაგარი, ცილა კი თხელი. ამიტომ კვერცხი საშუალო ცეცხლზე უნდა მოიხარშოს.

* * *

ჭურჭლის ტილოები და პირსახოცები გაცილებით უკეთ გაირეცხება, თუ მათ წინასწარ დაალბობთ მარილწყალში.

* * *

ძმარში დასველებული ტილოთი კარგად იწმინდება პიჯაკის და კაბის საყელო.

* * *

ნახმარი ტყავის ფეხსაცმლის გაახლება ასე შეიძლება: სკიპიდარში ჩაუმატეთ 3—4 წვეთი რძე, შიგ დაასველეთ სუფთა ნაჭერი და ამ ნაჭერით გაწმინდეთ ფეხსაცმელი. შემდეგ კი წაუსვით კრემი და ხავერდის ნაჭრით გააპრიალეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტანის ვარჯიშის კომპლექსი ხანშიშესული ქალებისათვის

ვარჯიში პირველი. «ტანის აჭიმვა.»

საწყისი მდგომარეობა — ხელები დაშვებული, ხელის მტევნები შეერთებული.

შესრულება: მტევნებით შეერთებული ხელები ასწიეთ მაღლა, ნები ზევით — ჩაისუნთქეთ. მოაშორეთ მტევნები ერთმანეთს და დაუშვით ხელები განივი მიმართულებით საწყის მდგომარეობამდე — ამოისუნთქეთ. ვარჯიში გაიმეორეთ 4-6-ჯერ ნელ ტემპში.

ვარჯიში მეორე. «ჩაჯდომი».

საწყისი მდგომარეობა — დადექით სკამიდან ნახევარი ნაბიჯის მანძილზე.

შესრულება: ჩაჯექით, ხელებით დაეყრდენით სკამს — ამოისუნთქეთ. სკამიდან ხელის აკვრით ადექით და გასწორდით — ჩაისუნთქეთ. ვარჯიში გაიმეორეთ 6-8-ჯერ ნელ ტემპში.

ვარჯიში მესამე. «ტანის დახრა».

საწყისი მდგომარეობა—გაჭიმული ცალი ფეხი დადეთ სკამზე, ხელები მაღლა.

შესრულება: დაიხარეთ წინ, ხელებით ეცადეთ შეეხოთ ფეხის ცერებს— ამოისუნთქეთ. გასწორდით, გადაიხარეთ უკან — ჩაისუნთქეთ. ვარჯიში ნელ ტემპში გაიმეორეთ 6-8-ჯერ.

ვარჯიში მეოთხე. «ტანის მობრუნება მარჯვნივ და მარცხნივ».

საწყისი მდგომარეობა — დაჯექით სკამზე, ხელები მოხარეთ იდაყვში და გააჩერეთ მკერდთან (ხელის თითები ერთიმეორის პირდაპირ), ფეხები გაჭიმეთ წინ.

შესრულება: მოაბრუნეთ ტანი მარცხნივ, მარცხენა ხელი გაიტანეთ განზე და მაღლა—ჩაისუნთქეთ. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას — ამოისუნთქეთ. გაიმეორეთ იგივე მარჯვენა მხარეს. ვარჯიში გაიმეორეთ ნელ ტემპში 4-ჯერ ყოველი მიმართულებით.

ვარჯიში მეხუთე: «ფეხების აწევა».

საწყისი მდგომარეობა — დაჯექით სკამზე, ხელებით დაეყრდენით სკამის საჯდომ ნაწილს.

შესრულება: ასწიეთ მარჯვენა ფეხი, ჩამოუშვით. შემდეგ—მარცხენა, ჩამოუშვით. ფეხის შენაცვლებით ვარჯიში გაიმეორეთ 8-10-ჯერ. სუნთქვა თანაბარი, ტემპი საშუალო.

ვარჯიში მეექვსე. «ხელების მოხრა».

საწყისი მდგომარეობა—ერთი დიდი ნაბიჯით დაშორდით სკამს, ხელებით დაეყრდენით სკამის ზურგს.

შესრულება: მოხარეთ ხელები იდაყვებში, მკერდით შეეხეთ სკამის ზურგს. თავი შეაბრუნეთ (მარცხნივ და მარჯვნივ)—ჩაისუნთქეთ. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას — ამოისუნთქეთ. ვარჯიში გაიმეორეთ 6-8-ჯერ ნელ ტემპში.

ვარჯიში მეშვიდე. «ადგილზე სიარული».

საწყისი მდგომარეობა — ჩვეულებრივი დგომა. ხელები მოხარეთ იდაყვებში.

შესრულება: ადგილზე სიარული (45-60 წამი). მუხლი ასწიეთ მაღლა და ენერგიულად ამოძრავეთ ხელები. ტემპი საშუალო, სუნთქვა თანაბარი.

ამ კომპლექსური ვარჯიშების შესრულების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ ვარჯიშის შესრულების ტემპს.

პირველ მეცადინეობებზე ტემპი უნდა იყოს ნელი და მხოლოდ ორგანიზმის თანდათან მუშაობაში ჩაბმის შედეგად უნდა მიიყვანოთ საშუალომდე და შეიძლება სწრაფამდეც, თუ ამას, რასაკვირველია, ვარჯიშის ხასიათი მოითხოვს. უფრო ინტენსიური მეორე, მესამე და მეექვსე ვარჯიშების შემდეგ უნდა შეისვენოთ 30-60 წამი, რომელიც შეიძლება შეავსოთ დასვენების აქტიური ფორმებით — სიარული ღრმა სუნთქვით.

ისუნთქეთ სწორად, ნუ შეაჩერებთ მას. ვარჯიშის დროს მოძრაობები უნდა იყოს მსუბუქი.



# მურაბები



## მაყვლის მურაბა

ჭურჭელში მოათავსეთ გადარჩეული მაყვალი ერთ წყებად, მოაყარეთ შაქრის ფხვნილი, დანარჩენი მაყვალიც მეორე წყებად დაყარეთ, მოაყარეთ დარჩენილი შაქრის ფხვნილი მთლიანად და გააჩერეთ გრილ ალაგას ოთხი-ხუთი საათი. მერე ჭურჭელი დადგით ცეცხლზე და ხარშეთ, სანამ მზად არ იქნება. ხარშვის დროს ხანგამოშვებით ფრთხილად შეანძრიეთ ჭურჭელი და ქაფი მოხადეთ.

1 კგ მაყვალზე უნდა აიღოთ 1 კგ შაქრის ფხვნილი.

## ჟოლოს მურაბა

ჟოლო (მალინა) გადაარჩიეთ, დაყარეთ წყებად ლანგარზე, მოაყარეთ ნაწილი შაქრის ფხვნილისა, მოასხით სპირტი, ასე მოიქეცით, სანამ ჟოლო გეყოფათ. ლანგარი მოათავსეთ გრილ ალაგას 5-6 საათით. შემდეგ ჟოლო თავისი წვენით გადმოიღეთ მურაბის ტაშტში, დააყარეთ დანარჩენი შაქრის ფხვნილი და მოხარშეთ.

მასალად უნდა აიღოთ: 1 კგ ჟოლოზე 1 კგ შაქარი და 1/4 ჩაის ჭიქა სპირტი.

## წვრილი ვაშლის მურაბა

1 კგ წვრილი ვაშლი გადაარჩიეთ, პატარა ყუნწები დაუტოვეთ, წვრილი ჩხირით აქა-იქ დაჩხვლიტეთ, დაალაგეთ ლანგარზე, გადაავლეთ მდუღარე წყალი და გააჩერეთ 15 წუთს. წინასწარ 1 კგ შაქრისა და 2 ჩაის ჭიქა წყლისაგან მოხარშეთ სიროფი. ადუღებულ სიროფში ჩაყარეთ გამზადებული ვაშლები და მოხარშეთ.

## ნესვის მურაბა

ჯერ კიდევ დაუმწიფებელ ნესვს მოაცილეთ მწვანე კანი, დაჭერით ოთხკუთხ მოგრძო ნაჭრებად. ასე გამზადებულ 1 კგ ნესვს მოასხით 1 სუფრის კოვზი კონიაკი, დააყარეთ 300 გრ შაქრის ფხვნილი და დადგით ორი საათით ცივ ალაგას. 700 გრ შაქრით და 1 ჩაის ჭიქა წყლით მოხარშეთ სიროფი და დაასხით ნესვს. მეორე დღეს სიროფი გადაწურეთ, კიდევ ადუღეთ, ისევ დაასხით ნესვს და ხარშეთ, სანამ მზად იქნებოდეს.

## თეთრი ყურძნის მურაბა

1 კგ ყურძნის მტევნები დამარცვლეთ და ჩაყარეთ შესაფერ ჭურჭელში. დააყარეთ ზედ 300 გრ შაქრის ფხვნილი და რამდენიმე საათი გააჩერეთ გრილ ალაგას. 700 გრ შაქრის ფხვნილი და 3/4 ჩაის ჭიქა წყლით. მოხარშეთ სიროფი. შეაგრილეთ, ჩაყარეთ შიგ შაქრიანი ყურძენი და ხარშეთ, სანამ მზად არ იქნება და ყურძნის მარცვლები ჭურჭლის ფსკერზე არ დალაგდება.

## ბადრიჯნის მურაბა

100 ცალი დიდრონი ნორჩი ბადრიჯანი (ეცადეთ თესლიანი არ იყოს) გადაარჩიეთ, მოჭერით წვერი და გაჭერით ზოგი ორად, ზოგი—ოთხად. ყუნწი ყველას შეაყოლეთ: გათალეთ ისე, რომ წვრილ ბადრიჯნებს დაემსგავსოს. მაშინვე ცივ წყალში ჩაყარეთ, რომ არ გაშავდეს და თავი დახურეთ. მერე დათლილი ბადრიჯანი ჩაყარეთ ქილაში, დააყარეთ 300 გრამი კირი, დაასხით ცივი წყალი და გააჩერეთ ერთნახევარი საათი. შემდეგ ამოიღეთ, კარგად გარეცხეთ. ჩაყარეთ მდუღარე წყალში და ადუღეთ სამი წუთი. მერე ისევ აადუღეთ წყალი, ჩაყარეთ შიგ ერთი სუფრის კოვზი შაბი, ბადრიჯანი ადუღეთ სამი წუთი. გადაიღეთ საწურზე და კარგად გაწურეთ. აადუღეთ კიდევ წყალი. ჩაყარეთ შიგ ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, გაწურული ბადრიჯანი. ადუღეთ 5 წუთი; შემდეგ ისევ გადაწურეთ და თვითეული ბადრიჯანი მაგრად გაწურეთ. 100 ბადრიჯანზე აიღეთ 2 კილოგრამი შაქარი და ერთი ჯოხი ვანილი. გააკეთეთ ამ 2 კილოგრამი შაქრიდან სიროფი (წყალი ბლომად უნდა დაასხათ), ჩაყარეთ შიგ მომზადებული ბადრიჯანი და ადუღეთ, სანამ მოიხარშებოდეს. თუ ბადრიჯანი მოხარშული არაა და სიროფი კი სქელია, მაშინ მდუღარე წყალი დაუმატეთ.

დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ე ბ ო! ე რ თ ხ ე ლ კ ი დ ე ვ მ ო გ ა გ ო ნ ე ბ თ მ უ რ ა ბ ე ბ ი ს დ ა მ ზ ა დ ე ბ ი ს დ ა შ ე ნ ა ხ ვ ი ს ს ა ე რ თ ო წ ე ს ს.

მურაბა მზად არის, თუ:

1. ხილი სიროფში თანაბრად არის განაწილებული და ზევით არ ამოტივტივდება.
2. ერთ წვეთ მურაბის სიროფს თითებს შორის დავსრესთ და ის ძაფივით გაიწევა.
3. თეფშზე დასხმული ერთი წვეთი სიროფი არ კარგავს თავის ფორმას.
4. უმეტეს შემთხვევაში ხილი გამჭვირვალეა.

როცა მურაბა მზად იქნება, გადმოდგამთ ცეცხლიდან, ტაშტს ფრთხილად და კარგად შეანჯღრევთ და დარჩენილ ქაფს მოხდით.

შეგრილების შემდეგ მურაბას ჩაასხამთ ქილებში, თავს მოუკრავთ და შეინახავთ მშრალ და გრილ ალაგას (+10-დან +15°-მდე ტემპერატურა. უფრო დაბალ ტემპერატურაზე ხდება მურაბის დაშაქრება).

რეცეპტურის არასწორი გამოყენებისას ან დაბალ ტემპერატურაზე შენახვის დროს მურაბა შეიძლება დაშაქრდეს, ხოლო ჭარბი წყლიანობისას—ადუღდეს, ობი მოეკიდოს.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე—„ზაფხული“.

მხატვარი რ. სტურუა

რედაქტორი თ. აბაშიძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
ნომერი გააფორმა ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VII-60 წ. ქაღალდის ზომა 60X92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 3 მან.
შეკვეთის № 1200 უე 03834

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.




ბავშვის ლიფის თარგი

1. გულმკერდის წრეწირი—56 სმ
2. კისრის წრეხაზი—30 სმ
3. ბეჭის სიგანე—21 სმ
4. გულის სიგანე 21 სმ
5. ზურგის სიგრძე—26 სმ

ჭრა-კერვის

# დაუსწრებელი სწავლება

## გაკვეთილი მესამე

### ბავშვის ლიფი

თ ა რ გ ი ს  შ ე დ გ ე ნ ა (ნახ. № 9)

ლიფის თარგის შესადგენად საჭიროა ავილოთ შემდეგი ზომები:

1. გულმკერდის წრეხაზი—56 სმ
2. კისრის წრეხაზი—30
3. ბეჭების სიგანე—21 სმ
4. წელის სიგრძე—26 სმ

გულმკერდის წრეხაზის ზომას ყოველთვის ვყოფთ ორზე, მიღებულ რიცხვს ვუმატებთ მუდმივად 2 სანტიმეტრს:

$$56 : 2 = 28$$
$$28 + 2 = 30$$

ამ რიცხვს (30) გადავზომავთ ა—წერტილიდან მარჯვნივ. შემდეგ ა—წერტილიდან ჩამოვზომავთ წელის სიგრძეს—26 სანტიმეტრს და ვადგენთ ოთხკუთხედს.

წელის სიგრძეს მუდმივად ვყოფთ 2-ზე:

$$26 : 2 = 13$$

მიღებულ რიცხვს (13) ჩამოვზომავთ ა—წერტილიდან ქვევით და გავავლებთ იღლიის დასაყენებელ სწორ ხაზს.

ლიფის უკანა ნაწილის თარგის შესადგენად ბეჭების სიგანეს ვყოფთ მუდმივად ორზე:

$$21 : 2 = 10{,}5$$

მიღებულ 10,5-ს გადავზომავთ ა—წერტილიდან მარჯვნივ. ჩარჩოს სიგანეს (30) ვყოფთ ორზე:

$$30 : 2 = 15$$

მიღებულ 15-ს გადავზომავთ 13 წერტილიდან მარჯვნივ და წერტილ 15-დან ჩამოვუშვებთ სწორ ხაზს.

კისრის წრეხაზს ვყოფთ მუდმივად 6-ზე:

$$30 : 6 = 5$$

მიღებულ (5) გადავზომავთ ა—წერტილიდან მარჯვნივ. 5-სანტიმეტრს ვუმატებთ მუდმივად 1-ს.

$$5 + 1 = 6$$

მიღებულ 6-ს ჩამოვზომავთ ა—წერტილიდან და ვაერთებთ წერტილ 5-თან მრუდი ხაზით.

მხრის დასაყენებელ ხაზიდან, ე. ი. 10,5-დან, ჩამოვზომავთ 1,5 სანტიმეტრს: წერტილ 1,5-ს ვაერთებთ მრუდი ხაზით წერტილ 15-თან.

ლიფის წინა ნაწილის თარგის შესადგენად გულის სიგანეს მუდმივად ვყოფთ 2-ზე.

$$21 : 2 = 10{,}5$$

მიღებულ 10,5-ს გადავზომავთ 30 წერტილიდან მარცხნივ.

საყელოს წინა მხრისათვის 30—წერტილიდან ქვევით და მარცხნივ გადავზომავთ 5—5 სანტიმეტრს და ამ წერტილებს ვაერთებთ ერთიმეორესთან მრუდი ხაზით.

წერტილ 10,5-დან ჩამოვზომავთ 1,5 სანტიმეტრს. წერტილ 1,5-ს ვუერთებთ 15—წერტილს მრუდი ხაზით.

ლიფის უკანა ნაწილს შესაკრავისათვის 5—წერტილიდან ვუმატებთ 3 სანტიმეტრს ციფრები 2, 6, 1 მუდმივია და იხმარება სხვა ზომის ლიფის შეკერვის დროსაც.

### ლიფის გამოჭრის და შეკერვის წესი

ქსოვილს ვკეცავთ ორად. მასზე ვამაგრებთ ქინძისთავებით თარგს. ვუმატებთ ნაკერისათვის თითო სანტიმეტრს, გადასაკეცად—3 სანტიმეტრს. საყელოს და სახელოს შიგნიდან ედება ირიბი ნაჭრები. ლიფი იკვრება უკან 3 ღილზე. სიგრძის ხაზი 5-დან 26-მდე გაუჭრელია, დანარჩენი იჭრება.

### ბავშვის ქვედა საცვალი

თ ა რ გ ი ს  შ ე დ გ ე ნ ა (ნახაზი № 10)

ბავშვის ქვედა საცვლის თარგის შესადგენად საჭიროა ავილოთ შემდეგი ზომები:

1. თეძოს წრეხაზი—68 სმ
2. საცვლის სიგრძე—27 სმ

თეძოს წრეხაზის ზომას გავყოფთ მუდმივად 4-ზე:

$$68 : 4 = 17$$

მიღებულ 17-ს გადავზომავთ ა—წერტილიდან ზევით და ა—წერტილიდან ქვევით.

როგორც ზედა, ისე ქვედა 27—წერტილებიდან გადმოვზომავთ მარჯვნივ 17—17 სანტიმეტრს და შევადგენთ ოთხკუთხედს. 17-ს ყოველთვის ვაკლებთ ორ სანტიმეტრს:

$$17 - 2 = 15$$

მიღებულ 15-ს ჩამოვზომავთ ქვევით და ავზომავთ ზევით 17—წერტილებიდან. ა—წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ უბისთვის 4 სანტიმეტრს. 15—წერტილებს ვუერთებთ 4 წერტილს მრუდი ხაზით. წელის უკანა ხაზისათვის 27—წერტილიდან ზევით ავზომავთ 2 სანტიმეტრს და ვაერთებთ სწორი ხაზით 17 წერტილთან. ხოლო წელის წინა მხრისათვის 27—წერტილიდან ზევით ავზომავთ 1 სანტიმეტრს და ვაერთებთ 17 წერტილთან. საცვლის ტოტის წინა მხარე უკანასთან შედარებით 3 სანტიმეტრით ღრმად იჭრება.

ციფრები 4, 2, 1, 2 მუდმივია და იხმარება სხვა ზომის საცვლების თარგის შედგენის დროსაც.

### ქვედა საცვლის შეკერვისა და გამოჭრის წესი

ქსოვილს ვკეცავთ ორად. ვამაგრებთ მასზე თარგს ქინძისთავებით. ვუმატებთ შესაკერად თითო სანტიმეტრს. გადასაკეცად—2 სანტიმეტრს.

ტოტების ადგილებში ვაკერებთ ირიბ ნაჭრებს და ვკერავთ თეთრეულის კერვის საერთო წესის მიხედვით.

სიგრძის ხაზი ზედა წერტილ 2-დან ქვედა 1-მდე და წერტილ ა—დან 4-წერტილამდე გაუჭრელია. დანარჩენი ხაზები იჭრება.

### გოგონას გულამოღებული პერანგი

თ ა რ გ ი ს  შ ე დ გ ე ნ ა (ნახ. 11)

გოგონას გულამოღებული პერანგის თარგის შესადგენად საჭიროა ავილოთ შემდეგი ზომები:

1. გულმკერდის წრეხაზი—60 სმ
2. კისრის წრეხაზი—30 სმ
3. პერანგის სიგრძე—45 სმ

თარგს ვადგენთ პერანგის 1/4 ნაწილისას. ამისათვის გულმკერდის წრეხაზის ანაზომს მუდმივად ვყოფთ 4-ზე:

$$60 : 4 = 15$$

სისრულისათვის ვუმატებთ 2 სმ-ს:

$$15 + 2 = 17$$

მიღებულ რიცხვს (17) გადავზომავთ ა წერტილიდან მარჯვნივ. ა—წერტილიდან ჩამოვზომავთ პერანგის მთლიან სიგრძეს 45 სანტიმეტრს და ვადგენთ ოთხკუთხედს.

გულმკერდის წრეხაზის მეოთხედს (15) ჩამოვზომავთ ქვევით ა-და 17—წერტილებიდან. 15—წერტილებს ვაერთებთ ერთიმეორესთან სწორი ხაზით.

კისრის წრეხაზს ვყოფთ მუდმივად 6-ზე:

$$30 : 6 = 5$$

მიღებულ 5-ს გადავზომავთ ა—წერტილიდან მარჯვნივ და ჩამოვზომავთ ქვევით სიგრძის ხაზზე.

5—წერტილებს ვაერთებთ მრუდი ხაზით. ეს იქნება პერანგის საყელოს უკანა მხარე.

პერანგის საყელოს წინა მხარისათვის ხუთს ვუმატებთ 2 სანტიმეტრს:

$$5 + 2 = 7$$

და მიღებულ 7-ს ჩამოვზომავთ ა—წერტილიდან. 7—წერტილს ვაერთებთ წერტილ 5-თან მრუდი ხაზით. პერანგის სალტისათვის 5—წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 3 სანტიმეტრს და 3—წერტილს ვაერთებთ 15—წერტილთან მრუდი ხაზით. გვერდებში სისრულისათვის ვუმატებთ 17—წერტილიდან მარჯვნივ 3 სანტიმეტრს. 3—წერტილიდან ზევით ავზომავთ 2 სანტიმეტრს. 2—წერტილს ვაერთებთ სწორი ხაზით 15—წერტილთან.

ციფრები 4, 2, 6, 3—მუდმივია და იხმარება სხვა ზომების პერანგის თარგის შედგენის დროსაც.

### გოგონას გულამოღებული პერანგის გამოჭრისა და შეკერვის წესი

პერანგის გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ ოთხად. ზედ ქინძისთავებით ვამაგრებთ თარგს, ვუმატებთ გვერდებში გასაკერად თითო სანტიმეტრს, დაბლა გადასაკეცად—2 სანტიმეტრს. პირველად იკერება გვერდები. საყელო, სახელო და გული შეიძლება მოვქარგოთ ან მოვქსოვოთ. ვკერავთ თეთრეულის კერვის საერთო წესით.

სიგრძის ხაზი წერტილ 7-დან წერტილ 45-მდე და სიგანის ხაზი წერტილ 5-დან წერტილ 3-მდე გაუჭრელია. ოთხად დაკეცილ ქსოვილზე ამოიჭრება პერანგის საყელოს უკანა მხარე, შემდეგ გაიშლება და ამოიჭრება საყელოს წინა მხარე.

### ბავშვის ღამისპერანგი

თ ა რ გ ი ს  შ ე დ გ ე ნ ა (ნახ. № 12)

ღამისპერანგის თარგის შესადგენად საჭიროა ავილოთ შემდეგი ზომები;

1. გულმკერდის წრეხაზი—60 სმ
2. კისრის წრეხაზი—30 სმ
3. პერანგის სიგრძე—62 სმ
4. სახელოს სიგრძე—7 სმ

თარგს ვადგენთ პერანგის 1/4 ნაწილისას, გულმკერდის წრეხაზს მუდმივად ვყოფთ 4-ზე. პერანგს სისრულისათვის ვუმატებთ 3 სანტიმეტრს:

$$60 : 4 = 15$$
$$25 + 3 = 18$$

მიღებულ რიცხვს (18) გადავზომავთ ა—წერტილიდან მარჯვნივ. ა—წერტილიდან ქვევით ჩამოვზომავთ პერანგის სიგრძეს—62 სანტიმეტრს და ვადგენთ ოთხკუთხედს. ა—და 18 წერტილებიდან ჩამოვზომავთ 15 სანტიმეტრს, 15—წერტილებს შევაერთებთ სწორი ხაზით. 18—წერტილიდან და 15—წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ სახელოს სიგრძეს 7 სანტიმეტრს.

კისრის წრეხაზს მუდმივად ვყოფთ 6-ზე:

$$30 : 6 = 5$$

მიღებულ 5-ს ჩამოვზომავთ ქვევით და გადავზომავთ მარჯვნივ ა—წერტილიდან და 5 წერტილებს ვაერთებთ მრუდი ხაზით. ეს იქნება პერანგის საყელოს წინა მხარე.

საყელოს უკანა მხარისათვის ა—წერტილიდან მუდმივად ჩამოვზომავთ 2 სანტიმეტრს. 2—წერტილს ვაერთებთ მრუდი ხაზით 6—წერტილთან. იღლიის ხაზის გამოსაყვანად წერტილ 15-დან ჩამოვზომავთ 4 სანტიმეტრს. 4-დან მარჯვნივ გადმოვზომავთ 1 სანტიმეტრს. წერტილ 1-ს არასწორი ხაზით ვუერთებთ წერტილ 7-ს. პერანგს სისრულისათვის გვერდებში ვუმატებთ 6 სანტიმეტრს, წერტილ 6-დან გვერდის მოსამრგვალებლად ზევით ავზომავთ 1 სანტიმეტრს. 1—წერტილს ვაერთებთ სახაზავით ზედა 1—წერტილთან.

ციფრები 4, 3, 6, 2, 1 მუდმივია და იხმარება სხვა ზომების ღამისპერანგის შეკერვის დროსაც.

### ბავშვის ღამისპერანგის გამოჭრისა და შეკერვის წესი

ქსოვილს ვკეცავთ ოთხად. ზედ ქინძისთავებით ვამაგრებთ თარგს, ვუმატებთ ნაკერისათვის თითო სანტიმეტრს, დაბლა გადასაკეცად—2 სანტიმეტრს, გამოჭრას ვიწყებთ გვერდიდან. ამოვჭრით საყელოს უკანა მხარეს. შემდეგ გავშლით ქსოვილს, ამოვჭრით საყელოს წინა მხარეს და ჩავჭრით იღლიის დასაყენებელი ხაზის წერტილამდე, ე. ი. ამ შემთხვევაში 15—წერტილამდე. სიგრძის ხაზი წერტილ 2-დან წერტილ—62-მდე და სიგანის ხაზი წერტილ 5-დან წერტილ 7-მდე გაუჭრელია. დანარჩენი ხაზები იჭრება, პერანგის გული და სახელო შეიძლება მოვქარგოთ ან მოვქსოვოთ.

ავტორი ტატიანა გურგენიძე
კონსულტანტი ვანო ტაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



11



12



10

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი ვაშლი

(მოგონება)

— აბა, ელი, ლამაზი კაბა ჩაიცვი და თმა წესრიგში მოიყვანე! ერთად წავალთ!—მითხრა მამამ და წავიდა. ლამაზი კაბის ჩაცმა ძალიან გამეხარდა, მაგრამ როგორც კი თმების «წესრიგში მოყვანა» გამახსენდა, ხასიათი გამიფუჭდა, და აი, რატომ:

ხშირი, დახვეული თმა მქონდა. მომაჩეჩებდნენ ხოლმე ხელში სავარცხელს და მეტყოდნენ: თვითონ დაივარცხნე თმა, შენ უკვე დიდი გოგო ხარო. ერთ მშვენიერ დღეს ავიღე და მაკრატლით შევიჭერი ის ადგილები, სადაც თმა ინასკვებოდა, მერე წარბიც შევიკრიჭე. სარკიდან გაფართოებული თვალებით შემომცქეროდა უცხო სახე. ველარ გავუძელი ჩემს სიმახინჯეს და ტირილი მოვრთე.

— რა მოგივიდა, რა გატირებს?—მომესმა დედის ხმა, მაგრამ როცა შემომხედა, სასტიკად გაჯავრდა და კუთხეში დამაყენა.

ეს ჩემთვის ყველაზე დიდი სასჯელი იყო. გავჭირვეულდი:

— არ მინდა კუთხეში, თუ გინდა, მცემე.

— მე ცემა არ ვიცი,—მითხრა დედამ.

— მაშ, თამრიკოს დედამ მცემოს... მან ხომ იცის...

დედა უფრო გაჯავრდა და მიბრძანა კუთხეში დავჩოქილიყავი.

ასეთი სასჯელი სხვა დროსაც მიმიღია და ყოველთვის ვცდილობდი იგი გამეადვილებინა! თვალებს მაგრად დავხუჭავდი, რომ კედლები არ დამენახა და უხმოდ ვმღეროდი, როგორც მამა, ანდა გუნებაში ვცეკვავდი, როგორც დედა. ეს მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე ამნისტიის სახით მამა არ მომევლინებოდა.

და აი, ახლაც, მისი ხმა რომ გავიგონე, გული ამიძგერდა. დედამ მას რაღაც წასჩურჩულა. მამა სწრაფი ნაბიჯით მომიახლოვდა, შემომატრიალა და როცა შემხედა, შევნიშნე—მისი ლამაზი სახე ისე შეიცვალა, რომ ველარ ვიცანი.

— თვალი რომ გამოგეთხარა ?რას ფიქრობდი? ვინ გასწავლა ეს სისულელე?!—საყვედურით მითხრა.

— მე თვითონ...—წავილუღლუღე და მწარეთ ავქვითინდი.

მამა უცებ დამშვიდდა, გამიღიმა და მითხრა:

— შენ თვითონ კი არა... მიჩვენე ხელები! ეს ყველაფერი ამათი ბრალია,—და ორივე ხელზე დახვეული გაზეთი რამდენჯერმე დამარტყა.

ეს იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ ტირილიც და ჩემი დამახინჯებული სახეც დამავიწყდა და გაშტერებული შევცქეროდი მამას.

ჩემს გონებაში ამ შემთხვევამ ღრმა კვალი დასტოვა. მახსოვს, ყველას შევჩიოდი, რომ მამამ გაზეთით მცემა.

აი, ახლაც, როცა მამამ სადღაც ჩემი წაყვანა გადაწყვიტა, მომაგონდა ეს ამბავი და დედას ვთხოვე, ჩემი კულულები მას დაევარცხნა, დედამ ლამაზად გამომაწყო, მერე ჩურჩხელები და ლეღვის ჩირი გადაარჩია და შეახვია.

მამა ჩქარა დაბრუნდა. წავედით. კარებში დედამ მომაძახა:

— აბა, ელი, არ დაგავიწყდეს რაც გითხარი, მორცხვობას თავი დაანებე...

მივედით. მეორე სართულზე მამამ კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

— მობრძანდით!—მომესმა ხმა,—კარი ღიაა..

შესანიშნავი სილამაზის მოხუცი შემოგვეგება, მამას გადაეხვია. მამა მხარზე მოწიწებით ეამბორა მას.

— ბატონო აკაკი, ცოტაოდენი კახური ხილი მოგართვით... ეს კი ჩემი უმცროსი გოგონა გახლავთ.

— მოდი, ჩემო გოგონა. მოდი.—მითხრა მოხუცმა.

მე თვალს ვერ ვაშორებდი, ისეთი კეთილი და სათნო სახის მოხუცი იყო.

— რა გქვია, გოგონა?

მე ჩუმად წავიჩურჩულე ჩემი სახელი.

— ნუ გრცხვენია, ელი, მიდი, აკაკისთან.—მეუბნება მამა.

— აა, ელი, ესე იგი ელენე არა?—აკაკიმ შუბლზე მაკოცა და მუხლებზე დამისვა.

მე კმაყოფილი ვიყავი, ჯერ ერთი იმით, რომ ვუყურებდი დიდ წითელ ვაშლს, რომელიც მაგიდაზე იდო (ჩემს ცხოვრებაში ასეთი დიდი ვაშლი არ მენახა) და, რაც მთავარია იმით, რომ ძია აკაკის მუხლებზე ვიჯექი.—მე ხომ ყველას ვეხვეწებოდი მუხლებზე დამისვით—მეთქი და ამიტომ კიდევაც შემარქვეს «მუხლისკაცა». ძია აკაკიმ კი თვითონ დამისვა მუხლებზე!

მე ქურდულად ვუცქერდი მის მშვენიერ სახეს და ასე მეგონა, ის ჩემი დიდი ხნის ნაცნობი იყო.

— რა ლამაზი კულულები გაქვს და რამდენი...—მითხრა უცებ მგოსანმა.

მამამ უამბო, როგორ შევიკრიჭე თმა და წარბები და თან ეშმაკურად შემომხედა. მე ისე გავთამამდი, რომ მოხუცს შევჩივლე:

— მამამ გაზეთით მცემა-მეთქი.

აკაკი გულიანად იცინოდა და მეფერებოდა.

თუმცა ჯერ წერა-კითხვა არ შემეძლო, მაგრამ ლექსები ბევრი ვიცოდი ზეპირად. მამამ მთხოვა წამეკითხა მოხუცი მგოსნისთვის მისი ლექსები.

ბავშვობაში ასეთი ხასიათი მქონდა: თუ სხვები ჩამაცივდებოდნენ, არაფერს წავიკითხავდი, მაგრამ თვითონ თუ მოვისურვებდი, ყველას ვაწუხებდი ჩემი «დეკლამაციით“.

როცა აკაკიმ მთხოვა მისთვის რაიმე წამეკითხა, მე უყოყმანოდ ჩამოვხტი მისი მუხლებიდან და მამას მივაჩერდი. მამამ მაგიდაზე გაზეთი გაშალა, შუა ადგილას დამაყენა.

ბევრი ლექსი წავიკითხე, მათ შორის ილიას ლექსებიც. აკაკი ცალხელზე დაყრდნობილი ღიმილით მისმენდა.

შემდეგ შემაქო და მაკოცა. მამა ანთებული თვალებით უყურებდა სათაყვანებელ მგოსანს. ბოლოს წამოდგა, ბოდიში მოიხადა. გამოვემშვიდობეთ.

— საშენო რომ არაფერი მაქვს, რა გაჩუქო, ჩემო პატარა ელენე...—შეწუხდა აკაკი და მიმოიხედა.—ჰო, ეს წითელი ვაშლი ერთმა ბიჭუნამ მომიტანა...

და აკაკიმ ის წითელი ვაშლი გამომიწოდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... მგოსანს კისერზე მოვეხვიე და ვაკოცე.

უცებ მომაგონდა დედის სიტყვები—«არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი».

„რა უნდა დამვიწყებოდა“—ვფიქრობდი აფორიაქებული. ბოლოს გამახსენდა. წითელი ვაშლი მამას ხელში ჩავუდე, ხელი ხელზე დავიდე და მგოსანს ღრმა რევერანსი გავუკეთე. ეს აუცილებელი ატრიბუტი იყო მაშინდელი «კეთილშობილური“ აღზრდისა. აკაკიმ თავი დამიკრა და გულიანად გადაიხარხარა.

— კიდევ მომიყვანე, ვანო, კიდევ!—ეუბნებოდა მამას სიცილით.

აკაკის ნაჩუქარი ვაშლი ძალიან შემიყვარდა. მას თოჯინასავით ხშირად ვესაუბრებოდი, ვუამბობდი ზღაპრებს და სასიყვარულო სახელებს ვუგონებდი, ერთხელ ლოგინშიც ჩავიგორე. დილით კი, როცა ვეღარ ვიპოვე, ერთი ამბავი ავტეხე. დედამ მითხრა, რომ ასე ვაშლი დალპებაო, მოქსოვა ბადე, ჩადო შიგ წითელი ვაშლი და კედელზე ჩამოჰკიდა.

როცა ოთახში არავინ იყო, მივაჩოჩებდი სკამს, ავძვრებოდი და ვეფერებოდი, ხელებს ვუსვამდი და თან ვეტიტინებოდი. ერთხელ დედამ შემომისწრო და მითხრა: თუ არ მოასვენე, ეგ შენი ვაშლი ჩქარა დალპებაო. ძალიან დიდხანს არ მიხლია, ხელი, მაგრამ ერთხელ სულმა წამძლია და ისევ ავძვერი სკამზე. ხელი რომ შევახე, ვაშლი მჩატე მომეჩვენა, ამოვიღე ბადიდან და ხელში შემრჩა ვაშლის ბუტაფორია. ჩემს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა მაშინ...

...და აი, ახლა ვუცქერი პოეტის სურათს და მაგონდება: საქართველო გლოვობდა დიდი აკაკის დაკარგვას. რამდენიმე მოწაფე ამოგვარჩიეს და წაგვიყვანეს დაკრძალვაზე. მე თაიგული მომცეს ხელში.

დიდი აკაკი, რომელსაც მე ლექსებს ვუკითხავდი პატარაობისას, რომელიც მეფერებოდა და იცინოდა, ახლა დადუმებული ესვენა კუბოში და მთელი საქართველო დასტიროდა მის ცხედარს.

**ელენე ხიბილა,**

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი ირ. თოიძის

# სხვიტორში

შემოდგომაა. სხვიტორისაკენ მივეშურებით. არსად ისე ლამაზი არ არის შემოდგომის მზიანი დღეები, როგორც ზემო იმერეთის მთიან სოფლებში. შორიდანვე მოჩანს მაღლობზე აღმართული როსტომ წერეთლისეული სასახლე, სადაც დაიბადა ჩვენი სასიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი. მივყვებით ფერდობს. აკაკისეულ ვენახში ყურძენი მწიფს. მზის სხივებს ეფიცხებიან ქარვისფერი, დაკრახნილი მტევნები. შიგადაშიგ, ვაზებს შუა, ვეებერთელა კვახები წამოგორებულან. აქ აკაკის არაერთხელ მიუღია გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი—იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, გიორგი წერეთელი... უცხოელი სტუმრები: მარჯორი უორდროპი, მისი ძმა ოლივერ უორდროპი, არტურ ლეისტი ცნობილი რუსი გეოგრაფი და მოგზაური ლუნდერი, გეოლოგი სიმონოვიჩი და სხვები.

ეზოში ხანდაზმული კაკლის ხეები შრიალებენ. ცოტა მოშორებით ოდნავ გვერდზე გადაზნექილა გამოფუღუროებული, პოეტის დედის ხელით დარგული მსხალი.

ეს რა კარგი დღე შეგვხვდა! იქ, ცოტა ზევით, როსტომ წერეთლისეულ სასახლეში, ქვის ფართო აივანზე, გასამზეურებლად გამოუფენიათ ჩვენი მგოსნის შავი პალტო, მკლავებ და მაჯებ გაცრეცილი ლურჯი კოსტუმი, შარვალი, კრაველის ქუდი, ფეხსაცმელი. ასე გვგონია, საცაა კარი გაიღება, და ჩვენს წინ აღიმართება თითონ ის, მოხუცი მგოსანი— «სახე მჭკნარი, თმა-ჭაღარა“, თავის მშვენიერ, ნათელ ღიმილს შემოგვაგებებს. აქ გაატარა გულდარდიანმა, ავადმყოფმა პოეტმა თავის უკანასკნელი დღეები. არვის ესმოდა —«უხმო, უსიტყვო გრძნობათა ლოცვა, საანგელოზოთ რომ ენთებოდა, ციურ მანანად, ნუგეშის ცრემლად, ისევ გულსავსე ეწვეთებოდა“. აკი წერს კიდეც: „საჩხერეში ამოვედ და უფრო ავად შევიქმენ. მნახველები არ მაკლია, მაგრამ მისთანები, რომელნიც ვერც სულსა და ვერც გულს ვერას ეუბნებიან, გარდა ჩვენებური ქათინაურებისა... ერთი თქვენი ნახვა, რას არ მერჩია, რომ შემეძლოს“.

პოეტის სახლის აივნიდან მშვენიერი ხედი იშლება. ხელისგულივით მოჩანან მახლობელი სოფლები. აგერ სოფელი სავანე, პოეტის ძიძის სახლი, სადაც ბავშვობის დაუვიწყარი წლები გაატარა პატარა აკაკიმ. პოეტის სახლ-მუზეუმის გამოფენა სწორედ იმ აკვნიდან იწყება, რომელიც ამ პატარა ქოხში ირწეოდა. დარბაზები არ არის მდიდრულად მორთული. ასეთი იყო თვითონ პოეტის ბუნება. არც მის სიცოცხლეში ყოფილა აქ ძვირფასი ავეჯი და მორთულობანი. მგოსნის სიმდიდრე მისი დიდბუნებოვანი კეთილი გული, თავის სამშობლოსა და ხალხის უანგარო სიყვარული იყო. აი, რას გვიამბობენ როსტომისეულ სასახლეში, პოეტის საწოლ ოთახში, ქვით ამოშენებული ფანჯრების შესახებ:

თურმე აკაკისეულ ტყიდან გლეხები ფარულად ეზიდებოდნენ შეშას.

— საჭიროა ზომები მიიღოთ,—მოახსენა მოურავმა აკაკის.

— რა ზომები მივიღო? გამოვუდგე, დავიჭირო?—გაეცინა პოეტს.

— აი, ამ ფანჯრებიდან გახედეთ ხოლმე. თქვენი დიდი ხათრი აქვთ. ესეც საკმარისია, რომ შერცხვეთ და თქვენ ტყეს თავი მიანებონო,—ურჩია მოურავმა.

აკაკის არაფერი უთქვამს. მეორე დღეს, დილით ადრე კალატოზი დაიბარა.

— ამოაშენე ეს ფანჯრები,—სთხოვა მგოსანმა,—რომ მე აქედან არ გავიხედო და არ დავინახო, როგორ ეზიდებიან გლეხები შეშას,ურომლისოდაც მათ ზამთარში სიცივე გაფიჩხავთ.»

როგორი ძვირფასი იყო მერე პოეტისათვის ეს ფანჯრები! რამდენიმე თვის წინ მგოსანი სწერდა:—«როგორც მაისის ვარდი სხვადასხვა ყვავილებში, ასე მაისის ოცნებაც განსაკუთრებული ყოფილა. მაისის დამდეგი საჩხერეში გავატარე. იქ მთვარიან ღამეებში მარტოდმარტო, სარკმლის წინ, ოცნებით გარინდული, ვითვალისწინებდი ჩემს სალოცავს, «ცივად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარაფანები




1. საზაფხულო კაბა-ხალათი. ზედატანი ტანზეა მომდგარი, ქვედატანი სწორია, ნაოჭზე ასხმული. დიდ ჯიბეებს ამთავრებს დეკორატიული ღილები.

2. სარაფანი ზღვისთვის, გაწყობილია თეთრი კანტით, რომელიც სამხრეების მოვალეობასაც ასრულებს.

3. ჩითის სარაფანი. სამხრეები ღილებზე მაგრდება. ზევიდან მოდებულია თეთრი პიკეს საყელო, რომელიც ბაფთით მთავრდება.

4. სარაფანი ზოლებიანი ქსოვილისაგან ზემოდან მოსაცმელი კოფთით. კოფთა შეკერილია სადა ქსოვილისაგან და ერთ ღილზე იკვრება.





ეროვნული ბიბლიოთეკა